# ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 4
# *სადაზღვევო ხელშეკრულებები*

## მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს იმ სამეურნეო ერთეულების *სადაზღვევო ხელშეკრულებების* ფინანსური ანგარიშგება, რომლებიც გამოსცემენ ამგვარ ხელშეკრულებებს (ამ სტანდარტში იწოდება, როგორც მზღვეველი), სანამ საბჭო დაამთავრებს სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ თავისი პროექტის მეორე ფაზას. კერძოდ, სტანდარტი მოითხოვს:

   ა) მზღვეველის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის რამდენადმე გაუმჯობესებას;

   ბ) ინფორმაციის გამჟღავნებას, სადაც განსაზღვრული და ახსნილი იქნება მზღვეველის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული, სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი თანხები და ამ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს დაეხმარება სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის, მათი მიღების ვადებისა და განუსაზღვრელობის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში.

## მოქმედების სფერო

2. სამეურნეო ერთეული წინამდებარე სტანდარტს გამოიყენებს:

   ა) სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის (მათ შორის *გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის*), რომლებსაც თვითონ გამოსცემს და გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის, რომლებსაც ფლობს;

   ბ) ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, რომლებსაც თვითონ გამოსცემს, თუ ეს ინსტრუმენტები მოიცავს *დისკრეციული მონაწილეობის* პირობას (იხ. 35-ე პუნქტი). ფასს 7 – *„ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“* მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას განმარტებით შენიშვნებში, მათ შორის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების შესახებაც, რომლებიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობებს.

3. წინამდებარე სტანდარტი არ ეხება მზღვეველის ბუღალტრული აღრიცხვის სხვა ასპექტებს, როგორიცაა მზღვეველების მფლობელობაში მყოფი ფინანსური აქტივებისა და მზღვეველების მიერ გამოშვებული ფინანსური ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვა (იხ. ბასს 32 – *,,ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა*“, ფასს 7 და ფასს 9 -*,,ფინანსური ინსტრუმენტები“),* გარდა იმისა, რაც აღწერილია შემდეგ ქვეპუნქტებში:

   ა) 20ა პუნქტის თანახმად, მზღვეველებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს, ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების გამოყენების უფლება აქვთ;

   ბ) 35ბ პუნქტის შესაბამისად, მზღვეველებს გარკვეულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით გადაფარვის მიდგომის გამოყენების უფლება აქვთ;

   გ) 45-ე პუნქტის მიხედვით, მზღვეველებს გარკვეულ გარემოებებში ზოგიერთი ან ყველა ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციის უფლება აქვთ იმგვარად, რომ ეს აქტივები შეფასებული იყოს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

4. სამეურნეო ერთეული არ გამოიყენებს წინამდებარე სტანდარტს:

   ა) უშუალოდ მწარმოებელი საწარმოს, დილერის ან საცალო ვაჭრობის საწარმოს მიერ პროდუქციასთან დაკავშირებით გაცემული გარანტიებისათვის (იხ. ფასს 15 - *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* და ბასს 37 - *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“*);

   ბ) დასაქმებულთა გასამრჯელოების პროგრამებით წარმოშობილი დამსაქმებლების აქტივებისა და ვალდებულებებისათვის (იხ. ბასს 19 – *„დასაქმებულთა გასამრჯელოები“* და ფასს 2 – *„აქციებზე დაფუძნებული გადახდა“* ) და საპენსიო გასამრჯელოს ვალდებულებებისათვის, რომელთა

© IFRS Foundation 

წარდგენა ანგარიშგებაში ხდება დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამების მიხედვით (იხ. ბასს 26 – *„საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება“);*

გ) ისეთი სახელშეკრულებო უფლებების ან ვალდებულებებისათვის, რომლებიც პირობითია და დაკავშირებულია არასაფინანსო მუხლის (მაგალითად, ზოგიერთი სახის სალიცენზიო მოსაკრებელი, როიალტები, ცვლადი საიჯარო გადახდები და მსგავსი მუხლები) მომავალ გამოყენებასთან ან გამოყენების უფლებასთან, ასევე მოიჯარის ნარჩენი ღირებულების გარანტიისათვის, რომელიც გაითვალისწინება იჯარით (იხ. ფასს 16 – *„იჯარა“*, ფასს 15 – *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* და ბასს 38 – *„არამატერიალური აქტივები“*);

დ) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისთვის, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც ემიტენტმა სამეურნეო ერთეულმა ადრე აშკარად დაასაბუთა, რომ იგი ამგვარ ხეკლშეკრულებებს სადაზღვევო ხელშეკრულებებად მიიჩნევს და გამოიყენა სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შესაფერისი სააღრიცხვო მიდგომა, რა შემთხვევაშიც მას ასეთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის შეუძლია აირჩიოს ბასს 32, ფასს 7 და ფასს 9, ან წინამდებარე სტანდარტი. ემიტენტს არჩევანის გაკეთება შეუძლია ცალ-ცალკე თითოეული ხელშეკრულებისთვის, მაგრამ არ შეუძლია ცალკეული ხელშეკრულებისთვის შერჩეული მეთოდის შეცვლა;

ე) საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით გადასახდელი ან მისაღები პირობითი კომპენსაციისათვის (იხ. ფასს 3 – *„საწარმოთა გაერთიანება“);*

ვ) *პირდაპირი სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის*, რომელსაც სამეურნეო ერთეული ფლობს (ანუ პირდაპირი სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის, რომლის თანახმადაც პოლისის მფლობელი სამეურნეო ერთეულია). ამასთან, გადაზღვევის პოლისის მფლობელი იყენებს ამ სტანდარტს მის მფლობელობაში არსებული გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

5. სიმარტივისათვის, წინამდებარე სტანდარტში საწარმოს, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებებს დებს, მზღვეველი ეწოდება, იმის მიუხედავად, მიიჩნევა თუ არა იგი მზღვეველად, იურიდიული ან ზედამხედველობის მიზნებისთვის. 3(ა)–3(ბ), 20ა–20რ, 35ბ–35ო, 39ბ–39ნ და 46–49-ე პუნქტებში, სადაც ნახსენებია მზღვეველი, იგულისხმება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების ემიტენტიც, რომელიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობას.

6. გადაზღვევის ხელშეკრულება სადაზღვევო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეა. შესაბამისად, ყველაფერი, რაც წინამდებარე სტანდარტში სადაზღვევო ხელშეკრულებებს ეხება, ასევე გამოიყენება გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვისაც.

## ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები

7. ფასს 9 საწარმოს ავალდებულებს, რომ მან ზოგიერთი ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი გამოაცალკევოს თავისი ძირითადი ხელშეკრულებიდან, შეაფასოს *სამართლიანი ღირებულებით* და მათ სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები ასახოს მოგებაში ან ზარალში. სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებისათვის გამოიყენება ბასს 39, თუ თვითონ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი სადაზღვევო ხელშეკრულება არ არის.

8. ფასს 9-ის მოთხოვნებიდან გამონაკლისის სახით, მზღვეველს არ მოეთხოვება, გამოაცალკევოს და სამართლიანი ღირებულებით შეაფასოს პოლისის მფლობელის ოფციონი, უარი თქვას ვადაზე ადრე ფიქსირებულთანხიან სადაზღვევო ხელშეკრულებაზე (ან ისეთ თანხაზე დადებულ სადაზღვევო ხელშეკრულებაზე, რომელიც ეფუძნება ფიქსირებულ თანხასა და საპროცენტო განაკვეთს), მაშინაც კი, თუ ოფციონის განხორციელების ფასი განსხვავდება ძირითადი *სადაზღვევო ვალდებულების* საბალანსო ღირებულებისაგან. ამასთან, ფასს 9-ის მოთხოვნა სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართულ ფუთ-ოფციონთან, ან ფულადი სახსრების მიღების სანაცვლოდ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ოფციონთან მიმართებით მაშინ გამოიყენება, თუ პოლისის მფლობელისათვის დასაბრუნებელი თანხა (უარის თქმის ფასი) იცვლება და დამოკიდებულია რომელიმე ფინანსური ცვლადის ცვლილებაზე (როგორიცაა ფასიანი ქაღალდების კურსი, ან საბირჟო საქონლის ფასი ან ინდექსი), ან არაფინანსურ ცვლადზე, რომელიც დამახასიათებელი არ არის ხელშეკრულების რომელიმე მხარისათვის. უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული მოთხოვნა მაშინაც გამოიყენება, თუ პოლისის მფლობელის უნარი, განახორციელოს ფუთ ოფციონი ან ფულად სახსრებზე უარის თქმის ოფციონი, დამოკიდებულია ამგვარ ცვლადებში მომხდარ ცვლილებაზე (მაგალითად, ფუთ-ოფციონი, რომლის განხორციელება მაშინ არის შესაძლებელი, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინდექსი მიაღწევს რაღაც დათქმულ, კონკრეტულ დონეს).

 © IFRS Foundation

9. მე-8 პუნქტი იმავენაირად გამოიყენება ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტზე უარის თქმის ოფციონებისთვისაც, რომელიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობებს.

### დეპოზიტური კომპონენტების განცალკევება

10. ზოგიერთი სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს როგორც სადაზღვევო კომპონენტს, ასევე *დეპოზიტურ* კომპონენტსაც. ზოგიერთ შემთხვევაში, მზღვეველს მოეთხოვება ან ზემოაღნიშნული კომპონენტების ცალკე გამოყოფის უფლება ეძლევა:

ა) გამოყოფა მოითხოვება მაშინ, თუ შემდეგი ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

(i) მზღვეველს შეუძლია დეპოზიტური კომპონენტის (მათ შორის, ნებისმიერი ჩართული უარის თქმის ოფციონის) შეფასება ცალკე (ე.ი. სადაზღვევო კომპონენტის გაუთვალისწინებლად);

(ii) მზღვეველის სააღრიცხვო პოლიტიკა სხვაგვარად არ მოითხოვს დეპოზიტური კომპონენტისაგან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისა და უფლების აღიარებას.

ბ) გამოყოფა ნებადართულია, მაგრამ სავალდებულო არ არის, თუ მზღვეველს შეუძლია დეპოზიტური კომპონენტის ცალკე შეფასება ისე, როგორც (ა)(i) პუნქტში იყო აღნიშნული, მაგრამ მისი სააღრიცხვო პოლიტიკა მოითხოვს დეპოზიტური კომპონენტისაგან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისა და უფლების აღიარებას, იმის მიუხედავად, რა საფუძველი გამოიყენება ამ უფლებებისა და ვალდებულებების შესაფასებლად;

გ) გამოყოფა იკრძალება, თუ მზღვეველს არ შეუძლია დეპოზიტური კომპონენტის ცალკე შეფასება, როგორც (ა) (i) პუნქტშია აღნიშნული.

11. ქვემოთ განხილულია ისეთი შემთხვევის მაგალითი, როდესაც მზღვეველის სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითხოვს დეპოზიტური კომპონენტისაგან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისა და უფლების აღიარებას. გადაზღვევის პოლისის მფლობელი მიღებული ზარალისათვის კომპენსაციას იღებს გადამზღვეველისგან, მაგრამ ხელშეკრულება გადაზღვევის პოლისის მფლობელს ავალდებულებს, მომავალ წლებში უკან დააბრუნოს კომპენსაცია. ეს ვალდებულება წარმოიშობა დეპოზიტური კომპონენტისაგან. თუ გადაზღვევის პოლისის მფლობელის სააღრიცხვო პოლიტიკა სხვაგვარად უფლებას იძლევა, რომ კომპენსაცია აღიარდეს შემოსავლის სახით, მისგან გამოწვეული ვალდებულების აუღიარებლად, მაშინ მოითხოვება დეპოზიტური კომპონენტის გამოყოფა.

12. ხელშეკრულების გასაყოფად, მზღვეველი:

ა) გამოიყენებს წინამდებარე სტანდარტს სადაზღვევო კომპონენტისათვის;

ბ) ფასს 9-ს, დეპოზიტური კომპონენტისათვის.

## აღიარება და შეფასება

### დროებითი განთავისუფლება ზოგიერთი სხვა სტანდარტისგან

13. ბასს 8-ის *„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“* – მე-10-12 პუნქტები განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა გამოიყენოს სამეურნეო ერთეულმა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების დროს, თუ რომელიმე მუხლს არ მიესადაგება კონკრეტულად არც ერთი სტანდარტი. თუმცა, წინამდებარე სტანდარტი მზღვეველს ანთავისუფლებს ამ კრიტერიუმების გამოყენებისაგან:

ა) სადაზღვევო ხელშეკრულების სააღრიცხვო პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ის გასცემს (მათ შორის, შესაბამისი შეძენის დანახარჯებისათვის და შესაბამისი არამატერიალური აქტივებისათვის, კერძოდ, ისეთი ტიპის, რომელიც აღწერილია 31-ე და 32-ე პუნქტებში); და

ბ) გადაზღვევის ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ფლობს.

14. ამასთან, წინამდებარე სტანდარტი მზღვეველს არ ანთავისუფლებს ბასს 8-ის მე-10-12 პუნქტებში მოცემული კრიტერიუმების ზოგიერთი შედეგისაგან. კერძოდ, მზღვეველი:

ა) არ აღიარებს ვალდებულების სახით რაიმე ანარიცხებს შესაძლო სამომავლო სადაზღვევო მოთხოვნებისათვის, თუ ეს მოთხოვნები წარმოიშობა სადაზღვევო ხელშეკრულებებით, რომლებიც არ

არსებობდა საანგარიშგებო თარიღისათვის (როგორიცაა, ანარიცხები სტიქიური უბედურებისათვის და გამოსასწორებელი ანარიცხები);

ბ) ატარებს *ვალდებულების* ადეკვატურობის ტესტს, რომელიც აღწერილია მე-15-19 პუნქტებში;

გ) ამოიღებს სადაზღვევო ვალდებულებას (ან სადაზღვევო ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება გადახდილი იქნება – ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, ან გაუქმდება ან ამოიწურება მისი გადახდის ვადა;

დ) არ აკეთებს:

(i) გადაზღვეული აქტივების ჩათვლას შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებებით; ან

(ii) გადაზღვევის ხელშეკრულებების შემოსავლების ან ხარჯების ურთიერთჩათვლას, შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ხარჯებით ან შემოსავლებით.

ე) განიხილავს, არის თუ არა გაუფასურებული გადაზღვეული აქტივები (იხ. პუნქტი 20).

## ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

15. **მზღვეველმა ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა შეაფასოს, ადეკვატურია თუ არა მისი, აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებები, რისთვისაც იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებებს. თუ აღნიშნული შეფასებებიდან ჩანს, რომ მზღვეველის სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (შემცირებული შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯებითა და შესაბამისი არამატერიალური აქტივებით, როგორიც განხილულია 31-ე და 32-ე პუნქტებში) ადეკვატური არ არის შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების ფონზე, მთელი დეფიციტური თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.**

16. თუ მზღვეველი იყენებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ მინიმალურ მოთხოვნებს, მაშინ წინამდებარე სტანდარტი მეტს არაფერს აღარ მოითხოვს. ეს მინიმალური მოთხოვნებია:

ა) ტესტი ითვალისწინებს მიმდინარე შეფასებებს ყველა სახის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადისათვის და მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისათვის, როგორიცაა, მოთხოვნების დამუშავების დანახარჯები, ასევე ჩართული ოფციონებიდან და გარანტიებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს;

ბ) თუ ტესტიდან ჩანს, რომ ვალდებულება არ არის ადეკვატური, მაშინ მთელი უკმარი თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

17. თუ მზღვეველის სააღრიცხვო პოლიტიკა არ მოითხოვს ადეკვატურობის ტესტს, რომელიც აკმაყოფილებს მე-16 პუნქტის მინიმალურ მოთხოვნებს, მაშინ მზღვეველი:

ა) განსაზღვრავს შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას[1], რომელსაც აკლდება:

(i) ნებისმიერი შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯების საბალანსო ღირებულება; და

(ii) ნებისმიერი შესაბამისი არამატერიალური აქტივი, რომელიც შეძენილია საწარმოთა გაერთიანების დროს ან პორტფელის გადაცემის დროს (იხ. 31-ე და 32-ე პუნქტები). ამასთან, შესაბამისი გადაზღვეული აქტივები არ განიხილება, ვინაიდან მზღვეველი მას ცალკე ასახავს (იხ. მე-20 პუნქტი);

(ბ) განსაზღვრავს, (ა) პუნქტში აღწერილი თანხა არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის – *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“* - მოქმედების

---

1. შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები ისეთი სადაზღვევო ვალდებულებებია (და შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯები და შესაბამისი არამატერიალური აქტივები), რომლისთვისაც მზღვეველის სააღრიცხვო პოლიტიკა არ მოითხოვს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტის ჩატარებას, რომელიც აკმაყოფილებს მე-16 პუნქტში აღწერილ მინიმალურ მოთხოვნებს.

 © IFRS Foundation

სფეროში. თუ ნაკლები იქნება, მაშინ მზღვეველი მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და შეამცირებს შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯების, ან შესაბამისი არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, ან გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

18. თუ მზღვეველის ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი აკმაყოფილებს მე-16 პუნქტის მინიმალურ მოთხოვნებს, მაშინ ტესტი გამოიყენება ამ ტესტისათვის განსაზღვრული აგრეგირების დონისათვის. თუ ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მინიმალურ მოთხოვნებს, მაშინ მე-17 პუნქტში აღწერილი შედარება ჩატარდება იმ ხელშეკრულებების პორტფელის დონეზე, რომლებიც ექვემდებარება ძალიან მსგავს რისკებს და ერთად იმართება, როგორც ერთი პორტფელი.

19. მე-17(ბ) პუნქტში აღწერილი თანხა (ე.ი. ბასს 37-ის გამოყენების შედეგი) მომავალი ინვესტიციების მარჟებს (იხ. პუნქტები 27-29) მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ასახავს, თუ ამ მარჟებს მე-17 (ა) პუნქტში აღწერილი თანხაც ასახავს.

## გადაზღვეული აქტივების გაუფასურება

20. თუ გადაზღვევის პოლისის მფლობელის გადაზღვეული აქტივი გაუფასურდება, იგი (პოლისის მფლობელი) შესაბამისად ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში. გადაზღვეული აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ:

ა) არსებობს ობიექტური მტკიცებულება, გადაზღვეული აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი მოვლენიდან გამომდინარე, იმის შესახებ, რომ გადაზღვევის პოლისის მფლობელი ვერ მიიღებს ყველა თანხას, რომელიც მას ეკუთვნის ხელშეკრულების პირობებით; და

ბ) ეს მოვლენა ისეთ გავლენას ახდენს გადაზღვევის შედეგად გადაზღვევის პოლისის მფლობელის მიერ მისაღებ თანხაზე, რომელიც საიმედოდ შეფასებას ექვემდებარება.

## დროებით განთავისუფლება ფასს 9-ის გამოყენებისგან

**20ა. ფასს 9 არეგულირებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუმცა, მზღვეველისთვის, რომელიც აკმაყოფილებს 20ბ პუნქტის კრიტერიუმებს, ფასს 9 ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს (განთავისუფლებას), რომელიც მზღვეველს ფასს 9-ის ნაცვლად ბასს 39 – *„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“* – გამოყენების უფლებას აძლევს, მაგრამ არ ავალდებულებს იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრამდე. მზღვეველმა, რომელიც ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომას იყენებს, უნდა:**

**ა) გამოიყენოს ფასს 9-ის მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია წინამდებარე სტანდარტის 39ბ-39კ პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის გასამჟღავნებლად განმარტებით შენიშვნებში; და**

**ბ) გამოიყენოს ყველა სხვა შესაფერისი სტანდარტი ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც აღწერილია წინამდებარე სტანდარტის 20ა-20რ, 39ბ-39კ და 46-47-ე პუნქტებში.**

**20ბ. მზღვეველს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუძლია ფასს 9-ის გამოყენებიდან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენება, თუ:**

**ა) მას წინათ ფასს 9-ის არანაირი ვერსია არ გამოუყენებია, ფასს 9-ის 5.7.1(გ), 5.7.7-5.7.9, 7.2.14 და ბ5.7.5-ბ5.7.20 პუნქტების მოთხოვნების გარდა, რომლებიც ეხება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის წარდგენას, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით; და**

**ბ) მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია დაზღვევასთან (როგორც აღწერილია 20დ პუნქტში) წლიური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს 2016 წლის 1 აპრილს, ან მომდევნო წლიური საანგარიშგებო თარიღისთვის, როგორც მითითებულია 20ზ პუნქტში.**

© IFRS Foundation 

20გ. მზღვეველს, რომელიც ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომას იყენებს, უფლება აქვს აირჩიოს მხოლოდ ფასს 9-ის 5.7.1(გ), 5.7.7–5.7.9, 7.2.14 და ბ5.7.5–ბ5.7.20 პუნქტების მოთხოვნების გამოყენება იმ ფინანსური ვალდებულებების შემოსულობებისა და ზარალის წარსადგენად, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუ მზღვეველი გადაწყვეტს ამ მოთხოვნების გამოყენებას, მან უნდა გამოიყენოს ასევე ფასს 9-ის შესაბამისი გარდამავალი დებულებები, განმარტებით შენიშვნებში გაამჟღავნოს ამ მოთხოვნების გამოყენების ფაქტი და მუდმივად, ყოველ საანგარიშგებო პერიოდში გაამჟღავნოს ინფორმაცია ფასს 7-ის (2010 წელს გამოცემული ფასს 9-ის შესაბამისად შესწორებული ვერსია) მე-10-11 პუნქტების შესაბამისად.

20დ. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, რომ მზღვეველის საქმიანობა ძირითადად დაზღვევასთან არის დაკავშირებული, თუ:

ა) წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში მყოფი ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (რომლებიც მოიცავს გარკვეულ დეპოზიტურ კომპონენტებს, ან ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასს 7-ის მე-7-12 პუნქტების შესაბამისად გამოცალკევებულია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან) მნიშვნელოვანია მისი ყველა ვალდებულების მთლიან საბალანსო ღირებულებასთან შედარებით; და

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების მთლიანი საბალანსო ღირებულების პროცენტული თანაფარდობა (იხ. პუნქტი 20ე) მისი ყველა ვალდებულების მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით:

(i) 90%-ს აღემატება; ან

(ii) ნაკლები ან ტოლია 90%-ის, მაგრამ 80%-ზე მეტია და ამასთან მზღვეველი არ ახორციელებს მნიშვნელოვან საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული არ არის დაზღვევასთან (იხ. პუნქტი 20ვ).

20ე. 20დ(ბ) პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს:

ა) წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში მყოფი ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს, როგორც აღწერილია 20დ(ა) პუნქტში;

ბ) საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებიც არ წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და ბასს 39-ის შესაბამისად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (მათ შორის, ვალდებულებებს, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, აქვს კლასიფიცირებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რომელთა მიმართაც, შემოსულობებისა და ზარალის წარსადგენად, მზღვეველმა გამოიყენა ფასს 9-ის მოთხოვნები (იხ. პუნქტები 20ბ(ა) და 20გ)); და

გ) ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა იმის შედეგად, რომ მზღვეველი დებს (ა) და (ბ) პუნქტებში მითითებულ ხელშეკრულებებს, ან ასრულებს ამგვარი ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს. ზემოაღნიშნული ვალდებულებების მაგალითებია წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ამგვარი ხელშეკრულებებიდან, ან მათი უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივებიდან წარმოქმნილი რისკების შესამცირებლად, შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებები, როგორიცაა ამ ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებულ დასაბეგრ დროებით სხვაობებთან მიმართებით აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და ასევე გამოშვებული სავალო ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ჩართულია მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის შემადგენლობაში.

20ვ. იმისთვის, რომ მზღვეველმა 20დ(ბ)(ii) პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის შეაფასოს, ახორციელებს თუ არა ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული არ არის დაზღვევასთან, მან უნდა გაითვალისწინოს:

 © IFRS Foundation

ა) მხოლოდ ისეთი საქმიანობები, რომელთან დაკავშირებითაც მზღვეველმა შეიძლება მიიღოს შემოსავალი და გასწიოს ხარჯები; და

ბ) რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ფაქტორები (ან ორივე), მათ შორის საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, როგორიცაა ეკონომიკის დარგების კლასიფიკაცია, რომლებსაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იყენებენ მზღვეველთან მიმართებაში.

20ზ. 20ბ(ბ) პუნქტის თანახმად, საწარმოს ევალება იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების კრიტერიუმებს იმ წლიური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს 2016 წლის 1 აპრილს. ამ თარიღის შემდეგ:

ა) საწარმომ, რომელიც წინათ აკმაყოფილებდა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების კრიტერიუმებს, განმეორებით უნდა შეაფასოს, მომდევნო წლიური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია თუ არა დაზღვევასთან, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თარიღისთვის დასრულებულ წლიური პერიოდის განმავლობაში საწარმოს საქმიანობაში ცვლილება მოხდა, როგორც აღწერილია 20თ-20ი პუნქტებში;

ბ) საწარმოს, რომელიც წინათ არ აკმაყოფილებდა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების კრიტერიუმებს, უფლება აქვს, მომდევნო წლიური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, 2018 წლის 31 დეკემბრამდე, განმეორებით შეაფასოს, მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია თუ არა დაზღვევასთან, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თარიღისთვის დასრულებულ წლიური პერიოდის განმავლობაში საწარმოს საქმიანობაში ცვლილება მოხდა, როგორც აღწერილია 20თ-20ი პუნქტებში.

20თ. 20ზ პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის, საწარმოს საქმიანობის ცვლილებად მიიჩნევა ცვლილება:

ა) რომელიც განისაზღვრება, გარე ან შიდა ფაქტორების ცვლილებების შედეგად, საწარმოს ზედა დონის ხელმძღვანელი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით;

ბ) რომელიც მნიშვნელოვანია საწარმოს ოპერაციებთან (საქმიანობასთან) მიმართებით; და

გ) შესაძლებელია მისი დემონსტრირება გარე მხარეთათვის.

შესაბამისად, ამგვარი ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც საწარმო იწყებს ან წყვეტს ისეთ საქმიანობას, რომელიც მნიშვნელოვანია მის ოპერაციებთან მიმართებით, ან მნიშვნელოვნად ცვლის რომელიმე საქმიანობის მოცულობას; მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ შეიძინა, გაყიდა ან შეწყვიტა საქმიანობის (ბიზნესის) რომელიმე მიმართულება.

20ი. 20თ პუნქტში აღწერილი საწარმოს საქმიანობის ცვლილება მოსალოდნელია, რომ ძალიან იშვიათად მოხდება. ქვემოთ განხილულია სიტუაციები, რომლებიც 20ზ პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის, საწარმოს საქმიანობის ცვლილებად არ მიიჩნევა:

ა) საწარმოს დაფინანსების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილება, რომელიც, თავისთავად, გავლენას არ ახდენს იმ საქმიანობაზე, საიდანაც საწარმო შემოსავალს იღებს და რომელთან დაკავშირებითაც საწარმო ეწევა დანახარჯებს;

ბ) საწარმოს გეგმა საქმიანობის მიმართულების გაყიდვის შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქტივები და ვალდებულებები ფასს 5-ის – *„გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“* – შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული. საქმიანობის მიმართულების გაყიდვის გეგმას საწარმოს საქმიანობის შეცვლა და ზემოაღნიშნული შეფასების განმეორებით განხორციელების აუცილებლობის წარმოქმნა შეუძლია მომავალში, მაგრამ მას მიმდინარე მომენტში ჯერ გავლენა არ მოუხდენია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ ვალდებულებებზე.

20კ. თუ საწარმო აღარ აკმაყოფილებს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების კრიტერიუმებს განმეორებითი შეფასების შედეგად (იხ. პუნქტი 20ზ(ა), მაშინ საწარმოს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ წლიურ პერიოდის დასრულებამდე, რომელიც იწყება უშუალოდ ამგვარი განმეორებითი შეფასების შემდეგ. მიუხედავად ამისა, საწარმომ ფასს 9 უნდა გამოიყენოს 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ

წლიურ პერიოდებში. მაგალითად, თუ საწარმო 20ზ(ა) პუნქტის გამოყენების შედეგად დაადგენს, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მისი წლიური პერიოდის საანგარიშგებო თარიღი) აღარ აკმაყოფილებს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების კრიტერიუმებს, მას ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

20ლ. მზღვეველმა, რომელმაც წინათ გადაწყვიტა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენება, უფლება აქვს, ნებისმიერ მომდევნო წლიური პერიოდის დასაწყისში მიიღოს ფასს 9-ის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში შეცვლას არ ექვემდებარება.

**საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს**

20მ. საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ფასს 1-ში – *„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“*, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს 20ა პუნქტში აღწერილი ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენების უფლება, თუ ის აკმაყოფილებს 20ბ პუნქტში მითითებულ კრიტერიუმებს. 20ბ(ბ) პუნქტის გამოყენებისას, საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უნდა გამოიყენოს ის საბალანსო ღირებულებები, რომლებიც ფასს სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული იქნება ამავე პუნქტში მითითებული თარიღის მდგომარეობით.

20ნ. ფასს 1 შეიცავს გარკვეულ მოთხოვნებსა და განთავისუფლების პირობებს იმ საწარმოთათვის, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს სტანდარტებს. აღნიშნული მოთხოვნები და განთავისუფლება (მაგალითად, რომლებიც აღწერილია ფასს 1-ის დ16-დ17 პუნქტებში) არ აუქმებს წინამდებარე სტანდარტის 20ა-20რ და 39ზ-39კ პუნქტებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს. მაგალითად, ფასს 1-ის მოთხოვნები და განთავისუფლება არ აუქმებს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უნდა დააკმაყოფილოს 20მ პუნქტში მითითებული კრიტერიუმები ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენების უფლების მისაღებად.

20ო. საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს და განმარტებით შენიშვნებში გაამჟღავნებს წინამდებარე სტანდარტის 39ზ-39კ პუნქტების შესაბამის ინფორმაციას, უნდა გამოიყენოს ფასს 1-ით გათვალისწინებული მოთხოვნები და განთავისუფლების წესები, რომლებიც შესაფერისია ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებისთვის აუცილებელი შეფასებების განსახორციელებლად.

**დროებით განთავისუფლება ბასს 28-ის ზოგიერთი მოთხოვნისგან**

20პ. ბასს 28-ის – *„ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“* – 35-36-ე პუნქტების თანახმად, საწარმოს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ევალება წილობრივი მეთოდის გამოყენების დროს. მიუხედავად ამისა, საწარმოს უფლება აქვს, მაგრამ არ ევალება 2023 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ წლიურ პერიოდებში შეინარჩუნოს შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებსაც იყენებენ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოები, როგორც მითითებულია შემდეგ ქვეპუნქტებში:

ა) საწარმო იყენებს ფასს 9-ს, მაგრამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო იყენებს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომას; ან

ბ) საწარმო იყენებს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომას, ხოლო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო იყენებს ფასს 9-ს.

20ჟ. როდესაც საწარმო წილობრივ მეთოდს იყენებს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში კუთვნილი ინვესტიციების აღრიცხვისთვის:

ა) თუ საწარმოს თავის ფინანსურ ანგარიშგებაში ადრე გამოყენებული ჰქონდა ფასს 9 ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან მიმართებით წილობრივი მეთოდის გამოყენების მიზნებისთვის (საწარმოს მიერ განხორციელებული კორექტირებების ასახვის შემდეგ), მან უნდა გააგრძელოს ფასს 9-ის გამოყენება;

ბ) თუ საწარმოს თავის ფინანსურ ანგარიშგებაში ადრე გამოყენებული ჰქონდა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომა ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან მიმართებით წილობრივი მეთოდის გამოყენების მიზნებისთვის (საწარმოს მიერ განხორციელებული კორექტირებების ასახვის შემდეგ), მას შემდგომში ფასს 9-ის გამოყენების უფლება აქვს.

 © IFRS Foundation

20რ. საწარმოს 20პ და 20ჟ(ბ) პუნქტების გამოყენების უფლება აქვს ცალ-ცალკე თითოეულ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან მიმართებით.

## სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის შეცვლა საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად

20ს. მზღვეველმა, რომელიც იყენებს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების უფლებას, ფასს 9-ის 5.4.6–5.4.9 პუნქტების მოთხოვნები მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მიმართ, თუ ამ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველი იცვლება საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად. ამ მიზნისთვის ტერმინი „საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა“ ნიშნავს საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთების ბაზრის ფართომასშტაბიან რეფორმას, როგორც აღწერილია ბასს 39-ის 102ზ პუნქტში.

20ტ. ფასს 9-ში შესწორებების შედეგად დამატებული 5.4.6–5.4.9 პუნქტების გამოყენების მიზნებისთვის, საწარმომ, იქ სადაც მითითებულია ფასს 9-ის ბ5.4.5 პუნქტი, უნდა იგულისხმოს ბასს 39-ის მგ7 პუნქტი, ხოლო სადაც მითითებულია ფასს 9-ის 5.4.3 და ბ5.4.6 პუნქტები – ბასს 39-ის მგ8 პუნქტი.

## ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

21. 22-30-ე პუნქტები გამოიყენება ორივე შემთხვევაში: როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკას ცვლის მზღვეველი, რომელიც უკვე იყენებს ფასს სტანდარტებს და როდესაც ცვლილებას ახორციელებს მზღვეველი, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს.

**22. მზღვეველს უფლება აქვს შეცვალოს სადაზღვევო ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ცვლილების შედეგად ფინანსური ანგარიშგება უფრო მეტად გახდება მომხმარებელთა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებების შესაბამისი და არ გახდება ნაკლებად საიმედო, ან უფრო მეტად საიმედო გახდება და არ გახდება ამ მოთხოვნილებებთან ნაკლებად შესაბამისი. მზღვეველმა შესაბამისობა და საიმედოობა უნდა განსაჯოს ბასს 8-ის კრიტერიუმების მიხედვით.**

23. სადაზღვევო ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის გასამართლებლად და დასასაბუთებლად მზღვეველმა უნდა აჩვენოს, რომ პოლიტიკის შეცვლით მისი ფინანსური ანგარიშგება უფრო მეტად აკმაყოფილებს ბასს 8-ის კრიტერიუმებს, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ცვლილების შედეგად მიიღწეოდეს სრული შესაბამისობა ამ კრიტერიუმებთან. ქვემოთ განხილულია შემდეგი სპეციფიკური საკითხები:

ა) მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები (პ. 24);

ბ) არსებული პრაქტიკის გაგრძელება (პ. 25);

გ) წინდახედულობა (პ. 26);

დ) მომავალი ინვესტიციების მარჟები (პპ. 27-29); და

ე) ჩრდილოვანი ბუღალტრული აღრიცხვა (პ.30).

### მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთები

24. მზღვეველს უფლება აქვს, მაგრამ არ მოეთხოვება თავისი სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა ისე, რომ ხელახლა შეაფასოს წინასწარ განსაზღვრული, გარკვეული სადაზღვევო ვალდებულებები[2] მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ასახვისა და ამ ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების აღიარების მიზნით მოგებაში ან ზარალში. ამ დროისათვის, მზღვეველს შეუძლია ასევე ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის შემოღება, რომელიც მოითხოვს სხვა მიმდინარე შეფასებებსა და დაშვებებს წინასწარ განსაზღვრული, გარკვეული ვალდებულებებისათვის. მოცემული პუნქტით გათვალისწინებული არჩევანი მზღვეველს უფლებას აძლევს, შეცვალოს თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა ზემოაღნიშნული, წინასწარ განსაზღვრული ვალდებულებებისათვის ისე, რომ ეს პოლიტიკა არ გამოიყენოს მუდმივად ყველა

---

2. ამ პუნქტში სადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს შესაბამის გადავადებულ შეძენის დანახარჯებსა და შესაბამის არამატერიალურ აქტივებს, ისეთი ტიპის, რომლებიც განხილულია 31-ე და 32-ე პუნქტებში

მსგავსი ვალდებულებისათვის, როგორც ამას ბასს 8 სხვა შემთხვევაში მოითხოვდა. თუ მზღვეველი ვალდებულებებს განსაზღვრავს ამ არჩევანისათვის, მან უნდა გააგრძელოს მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მუდმივად გამოყენება (და თუ შესაფერისია, სხვა მიმდინარე შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება) ყველა პერიოდში, ყველა ვალდებულების მიმართ, სანამ ისინი არ დაიფარება.

**არსებული პრაქტიკის გაგრძელება**

25. მზღვეველს შეუძლია გააგრძელოს შემდეგი მეთოდების გამოყენება, მაგრამ არც ერთი მათგანის შემოღება არ დააკმაყოფილებს 22-ე პუნქტს:

ა) სადაზღვევო ვალდებულებების შეფასება დისკონტირების გარეშე;

ბ) მომავალი ინვესტიციების მართვის საფასურთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების შეფასება ისეთი თანხით, რომელიც აღემატება მათ სამართლიან ღირებულებას, რომელიც იგულისხმებოდა ანალოგიურ მომსახურებაზე, ბაზრის სხვა მონაწილეების მიერ დარიცხულ მიმდინარე საფასურთან შედარებიდან. სავარაუდოა, რომ ამ სახელშეკრულებო უფლებების საწყისი სამართლიანი ღირებულება ხელშეკრულების ორგანიზებისათვის გადახდილი დანახარჯების ტოლი იქნება, თუ მომავალი ინვესტიციების  მართვის საფასური და შესაბამისი დანახარჯები გამორიცხული არ არის ბაზრის შესადარისი მონაცემებიდან;

გ) არაერთგვაროვანი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება შვილობილი საწარმოების სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის (და შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯებისა და შესაბამისი არამატერიალური აქტივებისთვის, თუ ასეთი არსებობს), იმის გარდა, რაც ნებადართულია 24-ე პუნქტით. თუ ეს სააღრიცხვო პოლიტიკები ერთნაირი არ არის, მზღვეველს შეუძლია მათი შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცვლის შედეგად სააღრიცხვო პოლიტიკები უფრო მეტად განსხვავებული არ გახდება და, ამასთან, დააკმაყოფილებს მოცემული სტანდარტის სხვა მოთხოვნებსაც.

**წინდახედულობა**

26. მზღვეველს არ ევალება სადაზღვევო ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა, გადაჭარბებული წინდახედულობის თავიდან ასაცილებლად. თუმცა, თუ მზღვეველს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებები უკვე შეფასებული აქვს საკმაო წინდახედულებით, მას არ სჭირდება დამატებითი წინდახედულობის შემოღება.

**მომავალი ინვესტიციების მარჟები**

27. მზღვეველს არ ევალება სადაზღვევო ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მომავალი ინვესტიციების მარჟების ელიმინირებისთვის. თუმცა, არსებობს უარყოფადი ვარაუდი, რომ მზღვეველის ფინანსური ანგარიშგება ნაკლებად შესაბამისი და საიმედო გახდება, თუ შემოიღებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასებაში ასახავს მომავალი ინვესტიციების მარჟებს, იმ შემთხვევაში თუ ეს მარჟები გავლენას არ ახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადახდებზე. ქვემოთ მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის ორი მაგალითი, რომლებიც ასახავს აღნიშნულ მარჟებს:

ა) ისეთი დისკონტის განაკვეთის გამოყენება, რომელიც ასახავს მზღვეველის აქტივების შეფასებულ უკუგებას; ან

ბ) ამ აქტივების უკუგების პროგნოზირება შეფასებული უკუგების ნორმით, პროგნოზირებული უკუგების თანხების დისკონტირება სხვადასხვა განაკვეთით და შედეგის გათვალისწინება ვალდებულების შეფასების დროს.

28. მზღვეველს 27-ე პუნქტში აღწერილი უარყოფადი ვარაუდი უგულებელყოფა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილების სხვა კომპონენტები ზრდის მისი ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობასა და საიმედოობას იმდენად, რომ ეს გადაწონის მომავალი ინვესტიციების მარჟების ჩართვით გამოწვეული შესაბამისობისა და საიმედოობის შესუსტებას. მაგალითად, დავუშვათ, რომ მზღვეველის არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის მოიცავს გადაჭარბებულ წინდახედულ დაშვებებს დასაწყისში და მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილ დისკონტის განაკვეთს, რომელიც პირდაპირ კავშირში არ არის ბაზრის პირობებთან, ამასთან უგულებელყოფს ზოგიერთ ჩართულ ოფციონსა და გარანტიას. მზღვეველს შეუძლია უფრო მეტად შესაბამისი და არანაკლებ საიმედო გახადოს თავისი ფინანსური ანგარიშგება იმით, რომ

 © IFRS Foundation

ბუღალტრული აღრიცხვა გადაიყვანოს ინვესტორზე ორიენტირებულ მეთოდზე, რომელიც ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში და მოიცავს:

ა) მიმდინარე შეფასებებსა და დაშვებებს;

ბ) გონივრულ (მაგრამ არა გადაჭარბებულ წინდახედულ) კორექტირებას, რისკისა და განუსაზღვრელობის ასახვის მიზნით;

გ) შეფასებებს, რომლებიც ასახავს ჩართული ოფციონებისა და გარანტიების როგორც სპეციფიკურ, ასევე დროით ღირებულებასაც; და

დ) მიმდინარე საბაზრო დისკონტის განაკვეთს, მაშინაც კი, თუ დისკონტის განაკვეთი ასახავს მზღვეველის აქტივების შეფასებულ უკუგებას.

29. შეფასებებისათვის გამოყენებული ზოგიერთი მიდგომის დროს, მომავალი მოგების მარჟის დღევანდელი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება დისკონტის განაკვეთი. ამგვარი მოგების მარჟა შემდეგ მიეკუთვნება სხვადასხვა პერიოდს, ფორმულის გამოყენებით. ამგვარი მიდგომების დროს, ვალდებულების შეფასებაზე დისკონტის განაკვეთი მხოლოდ არაპირდაპირ გავლენას ახდენს. კერძოდ, ნაკლებად შესაფერისი დისკონტის განაკვეთის გამოყენება ვალდებულებების თავდაპირველ შეფასებაზე მცირე გავლენას ახდენს ან საერთოდ არ ახდენს გავლენას. თუმცა, სხვა მიდგომების დროს, დისკონტის განაკვეთი ვალდებულების შეფასებას პირდაპირ განსაზღვრავს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, იმის გამო, რომ აქტივზე დაფუძნებული დისკონტის განაკვეთი უფრო მეტად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ძალიან საეჭვოა, რომ მზღვეველმა უარყოს უარყოფადი ვარაუდი, რომელიც აღწერილია 27-ე პუნქტში.

**ჩრდილოვანი ბუღალტრული აღრიცხვა**

30. ბუღალტრული აღრიცხვის ზოგიერთ მოდელში მზღვეველის აქტივთან დაკავშირებული რეალიზებული შემოსულობა ან ზარალი პირდაპირ გავლენას ახდენს ზოგიერთ ან ყველა (ა) მის სადაზღვევო ვალდებულებაზე, (ბ) შესაბამის გადავადებულ შეძენის დანახარჯებზე და (გ) ისეთი ტიპის შესაბამის არამატერიალურ აქტივებზე, რომლებიც აღწერილია 31-ე და 32-ე პუნქტებში. მზღვეველს უფლება აქვს, მაგრამ არ მოეთხოვება თავისი სააღრიცხვო პოლიტიკის იმგვარად შეცვლა, რომ აქტივთან დაკავშირებულმა აღიარებულმა, მაგრამ არარეალიზებულმა შემოსულობამ ან ზარალმა ისეთივე გავლენა იქონიოს ზემოაღნიშნულ შეფასებებზე, როგორსაც იქონიებდა რეალიზებული შემოსულობა ან ზარალი. სადაზღვევო ვალდებულების (ან გადავადებული შეძენის დანახარჯების ან არამატერიალური აქტივების) შესაბამისი კორექტირება სხვა სრულ შემოსავალში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აღიარდება, თუ არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. აღრიცხვის ამგვარ პრაქტიკას ზოგჯერ „ჩრდილოვან ბუღალტრულ აღრიცხვას“ უწოდებენ.

## საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებები

31. ფასს 3-თან *„საწარმოთა გაერთიანება“* – შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მზღვეველი, შეძენის თარიღისათვის, სამართლიანი ღირებულებით შეაფასებს საწარმოთა გაერთიანების დროს მიღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს და შეძენილ *სადაზღვევო აქტივებს*. ამასთან, მზღვეველს უფლება აქვს, მაგრამ არ მოეთხოვება, ამ ინფორმაციის გაფართოებული წარდგენა ანგარიშგებაში, სადაც შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებების სამართლიანი ღირებულებები გაყოფილი იქნება ორ კომპონენტად:

ა) ვალდებულება, რომელიც შეფასდება გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის განკუთვნილი მზღვეველის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად; და

ბ) არამატერიალური აქტივი, რომელიც წარმოდგენილი იქნება როგორც სხვაობა (1) შეძენილ სახელშეკრულებო სადაზღვევო უფლებებსა და მითვისებული სადაზღვევო ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს შორის და (2) (ა) პუნქტში ხსენებულ თანხას შორის. მოცემული აქტივის შემდგომი შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულების შეფასებასთან.

32. მზღვეველს, რომელიც შეიძენს სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელს, შეუძლია მიმართოს 31-ე პუნქტში აღწერილ გაფართოებულ წარდგენას.

33. 31-ე და 32-ე პუნქტებში ხსენებული არამატერიალური აქტივები გამორიცხულია ბასს 36-ის *„აქტივების გაუფასურება“* და ბასს 38-ის *„არამატერიალური აქტივები“* – მოქმედების სფეროდან. ბასს 36 და ბასს 38 ეხება კლიენტების სიებსა და კლიენტთან ურთიერთობებს, რაც ასახავს ისეთი მომავალი

ხელშეკრულებების მოსალოდნელ შედეგებს (ლოდინებს), რომლებიც არ წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების ან პორტფელის გადაცემის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო სადაზღვევო უფლებებისა და სახელშეკრულებო სადაზღვევო ვალდებულებების ნაწილს.

## დისკრეციული[3] მონაწილეობის პირობები

### დისკრეციული მონაწილეობის პირობები სადაზღვევო ხელშეკრულებებში

34. ზოგიერთი სადაზღვევო ხელშეკრულება შეიცავს როგორც დისკრეციული მონაწილეობის პირობებს, ასევე გარანტირებულ ელემენტებს. ამგვარი ხელშეკრულების გამცემს:

ა) უფლება აქვს, მაგრამ არ ევალება, გარანტირებული ელემენტის აღიარება დისკრეციული მონაწილეობის პირობისგან განცალკევებით. თუ ხელშეკრულების გამცემი მათ ცალ-ცალკე არ აღიარებს, მან მთელი ხელშეკრულების კლასიფიცირება უნდა მოახდინოს ვალდებულებად, ხოლო თუ ცალ-ცალკე აღიარებს, მაშინ გარანტირებული ელემენტის კლასიფიცირებას ახდენს ვალდებულებად;

ბ) თუ დისკრეციული მონაწილეობის პირობას გარანტირებული ელემენტისგან განცალკევებით აღიარებს, მაშინ მან ამ დისკრეციული მონაწილეობის პირობის კლასიფიცირება უნდა მოახდინოს ან ვალდებულებად, ან საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტად. წინამდებარე სტანდარტი არ აკონკრეტებს, როგორ განსაზღვრავს ხელშეკრულების გამცემი, დისკრეციული მონაწილეობის პირობა ვალდებულებაა თუ საკუთარი კაპიტალი. ხელშეკრულების გამცემს ეს პირობა შეუძლია გაყოს ვალდებულებად და საკუთარი კაპიტალის ელემენტებად და ამ განაყოფისათვის გამოიყენოს უცვლელი სააღრიცხვო პოლიტიკა. მას არ შეუძლია ამ პირობის კლასიფიცირება რაიმე შუალედურ კატეგორიად, რომელიც არც ვალდებულება იქნება და არც საკუთარი კაპიტალი;

გ) შეუძლია აღიაროს ყველა მიღებული პრემია ამონაგების სახით ისე, რომ არ გამოაცალკევოს რაიმე ნაწილი, რომელიც უკავშირდება საკუთარი კაპიტალის (წილობრივ) ელემენტს. ამის შედეგად, გარანტირებულ ელემენტი და დისკრეციული მონაწილეობის პირობის იმ ნაწილში მომხდარი ცვლილებები, რომელიც ვალდებულებად არის კლასიფიცირებული, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ დისკრეციული მონაწილეობის პირობის ნაწილი ან მთელი პირობა კლასიფიცირდება საკუთარ კაპიტალში, მაშინ მოგების ან ზარალის ნაწილი შეიძლება ამ პირობას მიეკუთვნოს (იმავე წესით, როგორც ამ ნაწილის მიკუთვნება შეიძლებოდა უმცირესობის წილზე). ხელშეკრულების გამცემი მოგების ან ზარალის ნაწილს, რომელიც მისაკუთვნებელია დისკრეციული მონაწილეობის პირობის საკუთარი კაპიტალის კომპონენტზე, აღიარებს როგორც მოგების ან ზარალის განაწილებას და არა როგორც ხარჯს ან შემოსავალს (იხ. ბასს 1 - *„ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“* );

დ) თუ ხელშეკრულება შეიცავს ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტს, რომელიც ფასს 9-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, იგი ფასს 9-ს იყენებს ჩართული წარმოებული ინსტრუმენტისათვის;

ე) ყველა შემთხვევაში, რომელიც აღწერილი არ არის მე-14-20 პუნქტებში და 34-ე (ა) და (დ) პუნქტებში, აგრძელებს ამგვარი ხელშეკრულებებისათვის არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, თუ ამ პოლიტიკას ისე არ შეცვლის, რომ შეესაბამებოდეს 21-30-ე პუნქტებს.

### დისკრეციული მონაწილეობის პირობები ფინანსურ ინსტრუმენტებში

35. 34-ე პუნქტის მოთხოვნები გამოიყენება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, რომელიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობას. გარდა ამისა:

ა) თუ ხელშეკრულების გამცემი მთელი დისკრეციული მონაწილეობის პირობის კლასიფიცირებას ახდენს ვალდებულებად, ის 15-19 პუნქტებში აღწერილ ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს გამოიყენებს მთელი ხელშეკრულების მიმართ (ე.ი. როგორც გარანტირებული ელემენტისათვის, ასევე დისკრეციული მონაწილეობის პირობისთვისაც). ხელშეკრულების გამცემს არ ევალება იმ თანხის განსაზღვრა, რომელიც მიიღებოდა ფასს 9-ის გამოყენებით გარანტირებული ელემენტის მიმართ;

---

[3] დისკრეციული – პირადი შეხედულების მიხედვით, თვითნებურად.

 © IFRS Foundation

ბ) თუ ხელშეკრულების გამცემი საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით ახდენს ზემოაღნიშნული მთელი პირობის ან მისი ნაწილის კლასიფიცირებას, მაშინ მთლიანი ხელშეკრულებისათვის აღიარებული ვალდებულება არ უნდა იყოს იმ თანხაზე ნაკლები, რომელიც მიიღებოდა ფასს 9-ის გამოყენებით გარანტირებული ელემენტისათვის. ეს თანხა უნდა მოიცავდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ოფციონის საკუთარ ღირებულებას, მაგრამ არ უნდა მოიცავდეს მის დროით ღირებულებას, თუ მე-9 პუნქტი ამ ოფციონს ანთავისუფლებს სამართლიანი ღირებულებით გაზომვის მოთხოვნისაგან. ხელშეკრულების გამცემს არ ევალება იმ თანხის გამჟღავნება განმარტებით შენიშვნებში, რომელიც მიიღებოდა ფასს 9-ის გამოყენებით გარანტირებული ელემენტის მიმართ, არც მისი წარდგენა ცალკე თანხის სახით. გარდა ამისა, ხელშეკრულების გამცემს იმ თანხის განსაზღვრაც არ ევალება, თუ მთლიანი აღიარებული ვალდებულება აშკარად მეტია.

გ) მართალია, ეს ხელშეკრულებები ფინანსური ინსტრუმენტებია, მაგრამ ხელშეკრულების გამცემს ამ ხელშეკრულებებისათვის პრემიის აღიარების გაგრძელება შეუძლია ამონაგების სახით, ხოლო ამის შედეგად გამოწვეული ვალდებულების საბალანსო ღირებულების ზრდის აღიარება – ხარჯის სახით.

დ) მართალია, ეს ხელშეკრულებები ფინანსური ინსტრუმენტებია, მაგრამ ხელშეკრულების გამცემმა, რომელიც ფასს 7-ის 20(ბ) პუნქტს იყენებს დისკრეციული მონაწილეობის პირობების შემცველი ხელშეკრულებებისათვის, უნდა გაამჟღავნოს მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი საპროცენტო ხარჯი, მაგრამ მას არ სჭირდება ამგვარი საპროცენტო ხარჯის გამოთვლა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

35ა. 20ა, 20მ და 20პ პუნქტების მოთხოვნებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომისა და 35ბ პუნქტით გათვალისწინებული გადაფარვის მიდგომის გამოყენება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის ემიტენტსაც შეუძლია, რომელიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობას. შესაბამისად, 3(ა)–3(ბ), 20ა–20რ, 35ბ–35ო, 39ბ–39ნ და 46–49-ე პუნქტებში, სადაც ნახსენებია მზღვეველი, იგულისხმება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის ემიტენტი საწარმოც, რომელიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობას.

## წარდგენა

### გადაფარვის მიდგომა

**35ბ. მზღვეველს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის, გამოიყენოს გადაფარვის მიდგომა საკუთარი შეხედულებისამებრ ამ მიზნისთვის განსაზღვრულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით. მზღვეველმა, რომელიც გადაფარვის მიდგომას იყენებს:**

**ა) უნდა მოახდინოს მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის ისეთი თანხის რეკლასიფიკაცია, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ისეთივე სიდიდის იყოს, რაც მიიღებოდა იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით ბასს 39-ს გამოიყენებდა. შესაბამისად, რეკლასიფიცირებული თანხა ტოლი იქნება შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის:**

**(i) მზღვეველის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით მოგებაში ან ზარალში ფასს 9-ის შესაბამისად ასახული თანხა; და**

**(ii) თანხა, რომელიც მზღვეველის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით მოგებაში ან ზარალში აისახებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი ბასს 39-ს გამოიყენებდა.**

**ბ) ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ყველა სხვა შესაფერისი სტანდარტი, წინამდებარე სტანდარტის 35ბ–35ო, 39ლ–39ნ და 48–49-ე პუნქტებში აღწერილი შემთხვევების გარდა.**

**35გ. მზღვეველს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია აირჩიოს 35ბ პუნქტში აღწერილი გადაფარვის მიდგომის გამოყენება, როდესაც პირველად იყენებს ფასს 9-ს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირველად იყენებს ფასს 9-ს, ხოლო აქამდე იყენებდა:**

**ა) ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომას, რომელიც აღწერილია 20ა პუნქტში; ან**

**ბ) მხოლოდ ფასს 9-ის 5.7.1(გ), 5.7.7-5.7.9, 7.2.14 და ბ5.7.5-ბ5.7.20 პუნქტების მოთხოვნებს ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის წარსადგენად, რომლებიც საწარმოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული აქვს, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.**

35დ. მზღვეველმა გადაფარვის მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის რეკლასიფიცირებული თანხა უნდა წარადგინოს:

ა) მოგების ან ზარალის ნაწილში, როგორც ანგარიშგების განცალკევებული მუხლი; და

ბ) სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში, როგორც სხვა სრული შემოსავლის განცალკევებული კომპონენტი.

35ე. ფინანსურ აქტივთან მიმართებით საწარმოს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადაფარვის მიდგომის გამოყენება, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი კრიტერიუმები:

ა) ფინანსური აქტივი ფასს 9-ის შესაბამისად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მაგრამ ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად მთლიანად ვერ შეფასდებოდა სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით; და

ბ) საწარმო მას არ ინარჩუნებს ისეთი საქმიანობისთვის, რომელიც დაკავშირებული არ არის წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში მყოფ ხელშეკრულებებთან. მაგალითად, გადაფარვის მიდგომის გამოყენება არ შეიძლება ისეთ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, რომლებსაც საწარმო ინარჩუნებს საბანკო საქმიანობისთვის, ან ისეთ საინვესტიციო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ფონდების შემადგენლობაში არსებული ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არ განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს.

35ვ. როდესაც მზღვეველი გადაწყვეტს გადაფარვის მიდგომის გამოყენებას, მას, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი კონკრეტული ფინანსური აქტივის განსაზღვრა, რომლის მიმართაც გამოიყენებს გადაფარვის მიდგომას (იხ. 35გ პუნქტი). შემდგომში, გადაფარვის მიდგომის გამოყენების მიზნებისთვის, მზღვეველს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს დადგენილი კრიტერიუმის შესაბამისი კონკრეტული ფინანსური აქტივი, როდესაც:

ა) პირველად ხდება ამ აქტივის აღიარება; ან

ბ) ამგვარმა აქტივმა მხოლოდ ახლაღა დააკმაყოფილა 35ე(ბ) პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი, რომელსაც ადრე არ აკმაყოფილებდა.

35ზ. მზღვეველს 35ვ პუნქტის შესაბამისად, გადაფარვის მიდგომის გამოყენების მიზნებისთვის დადგენილი კრიტერიუმის შესაბამისი ფინანსური აქტივების საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლება აქვს თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ინდივიდუალურად.

35თ. როდესაც შესაფერისია, გადაფარვის მიდგომის გამოყენების მიზნებისთვის ისეთ ფინანსურ აქტივთან მიმართებით, რომელიც 35ვ(ბ) პუნქტის გამოყენებით საწარმომ ახლაღა განსაზღვრა აღნიშნული მიდგომის გამოყენებისთვის:

ა) ამ აქტივის სამართლიანი ღირებულება ზემოაღნიშნული კრიტერიუმის დაკმაყოფილების თარიღისთვის მიიჩნევა მის ახალ ამორტიზებულ საბალანსო ღირებულებად; და

ბ) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება ამ თარიღისთვის განსაზღვრული მისი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

35ი. საწარმომ გადაფარვის მიდგომის გამოყენების მიზნებისთვის მის მიერ განსაზღვრულ ფინანსურ აქტივთან მიმართებით გადაფარვის მიდგომის გამოყენება უნდა გააგრძელოს მანამ, სანამ არ შეწყდება მოცემული ფინანსური აქტივის აღიარება. თუმცა:

ა) საწარმომ ამგვარ ფინანსურ აქტივთან მიმართებით მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გააუქმოს იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი უკვე აღარ აკმაყოფილებს 35ე(ბ) პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს. მაგალითად, ფინანსური აქტივი აღარ დააკმაყო-


© IFRS Foundation

ფილებს ამ კრიტერიუმს, თუ საწარმო ამ აქტივს გადაიტანს საბანკო საქმიანობაში გამოსაყენებლად, ან, როდესაც საწარმო აღარ მოქმედებს, როგორც მზღვეველი;

ბ) საწარმოს უფლება აქვს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში შეწყვიტოს გადაფარვის მიდგომის გამოყენება, ამ მიზნებისთვის მის მიერ განსაზღვრულ ყველა ფინანსურ აქტივთან მიმართებით. საწარმომ, რომელიც გადაწყვეტს გადაფარვის მიდგომის გამოყენების შეწყვეტას, ბასს 8 უნდა გამოიყენოს მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ასახვის მიზნით.

35კ. როდესაც საწარმო 35ი(ა) პუნქტის შესაბამისად აუქმებს თავის გადაწყვეტილებას ფინანსურ აქტივთან მიმართების გადაფარვის მიდგომის გამოყენების თაობაზე, მან დაგროვილი სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობიდან მოგებაში ან ზარალში უნდა მოახდინოს ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ნაშთის რეკლასიფიკაცია, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1).

35ლ. თუ საწარმო წყვეტს გადაფარვის მიდგომის გამოყენებას, იმიტომ, რომ იყენებს 35ი(ბ) პუნქტით მინიჭებულ არჩევანის უფლებას, ან იმის გამო, რომ უკვე აღარ მოქმედებს, როგორც მზღვეველი, გადაფარვის მიდგომის გამოყენების უფლება შემდგომში აღარ აქვს. მზღვეველს, რომელმაც გადაწყვიტა გადაფარვის მიდგომის გამოყენება (იხ. 35გ პუნქტი), მაგრამ არა აქვს ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს ამ მიდგომის გამოყენების კრიტერიუმს (იხ. 35ე პუნქტი), ამ მიდგომის შემდგომში გამოყენების უფლება აქვს, როდესაც გაუჩნდება ფინანსური აქტივები, რომლებიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

**სხვა მოთხოვნებთან ურთიერთკავშირი**

35მ. წინამდებარე სტანდარტის 30-ე პუნქტის თანახმად, მზღვეველს ე.წ. „ჩრდილოვანი აღრიცხვის“ პრაქტიკის გამოყენების უფლება აქვს. თუ მზღვეველი გადაფარვის მიდგომას იყენებს, შეიძლება დასაშვები იყოს ჩრდილოვანი აღრიცხვის პრაქტიკის გამოყენება.

35ნ. 35ბ პუნქტის შესაბამისად თანხის რეკლასიფიკაციამ მოგების ან ზარალის შემადგენლობიდან სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში შეიძლება გამოიწვიოს სხვა თანხების ასახვაც სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადი. ამგვარი შედეგების დასადგენად მზღვეველმა უნდა გამოიყენოს შესაბამისი სტანდარტები, მაგალითად ბასს 12 – *„მოგებიდან გადასახადები“*.

*საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს*

35ო. თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, გადაწყვეტს გადაფარვის მიდგომის გამოყენებას, მან გადაფარვის მიდგომის ასახვის მიზნით მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია, თუ ამას აკეთებს შესადარისი ინფორმაციის ფასს 9-სთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (იხ. ფასს 1-ის ე1-ე2 პუნქტები).

## განმარტებითი შენიშვნები

### აღიარებული თანხების გამჟღავნება

**36. მზღვეველმა განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს და განმარტავს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ იმ თანხებს, რომლებიც წარმოიშვა სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან.**

37. 36-ე პუნქტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მზღვეველმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:

ა) სადაზღვევო ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკა და შესაბამისი აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯი;

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯი (და, თუ ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას პირდაპირი მეთოდით წარადგენს, მაშინ ფულადი ნაკადებიც). გარდა ამისა, თუ მზღვეველი გადაზღვევის პოლისის მფლობელია, მან შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

(i) გადაზღვევის ყიდვასთან დაკავშირებით მოგებაში ან ზარალში აღიარებული შემოსულობები და ზარალი; და

(ii) თუ გადაზღვევის პოლისის მფლობელი გადაავადებს და ამორტიზაციას არიცხავს გადაზღვევის ყიდვის შედეგად წარმოშობილ შემოსულობასა და ზარალს, მაშინ მოცემული პერიოდის ამორტიზაციის თანხა და ნარჩენი არაამორტიზებული სიდიდეები პერიოდის დასაწყისისა და პერიოდის ბოლოსათვის;

გ) პროცესი, რომელიც გამოიყენა ისეთი დაშვებების განსაზღვრისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (ზ) პუნქტში აღწერილი აღიარებული თანხების შეფასებაზე. თუ შესაძლებელია, მზღვეველმა ასევე უნდა აჩვენოს ამ დაშვებების რაოდენობრივი მნიშვნელობები;

დ) სადაზღვევო აქტივებისა და სადაზღვევო ვალდებულებების შესაფასებლად გამოყენებულ დაშვებებში მომხდარი ცვლილებების შედეგები, ისე, რომ ცალ-ცალკე ჩანდეს თითოეული ცვლილების შედეგი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე;

ე) სადაზღვევო ვალდებულებების, სადაზღვევო აქტივებისა და შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯების (თუ ასეთს აქვს ადგილი) შესახებ შეჯერებული ინფორმაცია.

## სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი რისკების ბუნება და სიდიდე

**38. მზღვეველმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს ინფორმაცია, რომელიც მომხმარებელს დაეხმარება, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების სიდიდეების, მიღების ვადებისა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესახებ.**

39. 38-ე პუნქტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მზღვეველმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:

ა) სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი რისკების მართვის მიზნები და ამ რისკების შემსუბუქების პოლიტიკა და პროცედურები;

ბ) [გაუქმებულია]

გ) ინფორმაცია *სადაზღვევო რისკის* შესახებ (გადაზღვევის შედეგად რისკის შესუსტებამდე და გადაზღვევის შემდეგაც), მათ შორის ინფორმაცია:

(i) მოგების ან ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობის შესახებ ისეთი ცვლადების ცვლილებების მიმართ, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მათზე;

(ii) სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია;

(iii) ფაქტობრივი მოთხოვნების შედარება ადრინდელ შეფასებებთან (ე.ი. მოთხოვნების მდგომარეობა). ინფორმაცია მოთხოვნების შესახებ უნდა შეეხოს წინა პერიოდებს, იმ პერიოდამდე, როდესაც წარმოიშვა უახლესი არსებითი მოთხოვნა, რომლის სიდიდე და გადახდის ვადა ჯერ კიდევ განუსაზღვრელია, მაგრამ საჭირო არ არის 10 წელზე მეტი პერიოდით უკან დაბრუნება. მზღვეველს არ ევალება ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნება ისეთი მოთხოვნების შესახებ, რომლის სიდიდისა და გადახდის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა, როგორც წესი, გადაიჭრა ერთი წლის მანძილზე;

დ) ისეთი ინფორმაცია საკრედიტო რისკის, ლიკვიდობის რისკისა და საბაზრო რისკის შესახებ, რომელიც მოითხოვებოდა ფასს 7-ის 31-42 პუნქტებით, თუ სადაზღვევო ხელშეკრულება მოხვდებოდა ფასს 7-ის მოქმედების სფეროში. თუმცა:

(i) მზღვეველს არ სჭირდება ფასს 7-ის 39(ა) პუნქტით მოთხოვნილი დაფარვის ვადების ანალიზის მომზადება განმარტებითი შენიშვნებისთვის, თუ ამის ნაცვლად გაამჟღავნებს ინფორმაციას, აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებებიდან წარმოშობილი წმინდა ფულადი ნაკადების სამეურნეო ერთეულიდან გასვლის დროის პერიოდის შეფასების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზის სახით, რომელიც ეყრდნობა დროის პერიოდის შეფასებებს;

(ii) თუ მზღვეველი საბაზრო პირობების მგრძნობელობის მართვისთვის ალტერნატიულ მეთოდს იყენებს, მაგალითად, ჩართული წარმოებულების ღირებულების ანალიზს, მას ფასს 7-ის 40(ა) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად შეუძლია


© IFRS Foundation

ზემოაღნიშნული მგრძნობელობის ანალიზის გამოყენება. ამ ტიპის მზღვეველმა განმარტებითი შენიშვნები უნდა მოამზადოს ასევე ფასს 7-ის 41-ე პუნქტის შესაბამისადაც.

ე) ინფორმაცია საბაზრო რისკისადმი დაქვემდებარების შესახებ, რაც განპირობებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით, თუ მზღვეველს არ მოეთხოვება და არ აფასებს ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით.

39ა. 39 (გ) (i) პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, სამეურნეო ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს (ა) ან (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია:

ა) მგრძნობელობის ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს, რა გავლენას იქონიებდა მოგებაზე ან ზარალზე და საკუთარ კაპიტალზე რისკის შესაფერისი ცვლადის ცვლილებები, რისი მოხდენაც, გონივრულობის ფარგლებში, შესაძლებელი იყო საანგარიშგებო თარიღისათვის; მგრძნობელობის ანალიზისთვის გამოყენებული მეთოდები და დაშვებები, ასევე ამ მეთოდებსა და დაშვებებში წინა პერიოდის შემდეგ მომხდარი ნებისმიერი ცვლილება. თუმცა, თუ მზღვეველი საბაზრო პირობების მგრძნობელობის მართვისთვის ალტერნატიულ მეთოდს იყენებს, მაგალითად, ჩართული წარმოებულების ღირებულების ანალიზს, მას აღნიშნული მოთხოვნის შესრულება შეუძლია ამ მგრძნობელობის ანალიზისა და ფასს 7-ის 41-ე პუნქტით გათვალისწინებული განმარტებითი შენიშვნების მომზადებით;

ბ) ხარისხობრივი ინფორმაცია მგრძნობელობის შესახებ, ასევე ინფორმაცია სადაზღვევო ხელშეკრულებების ისეთი ვადებისა და პირობების შესახებაც, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მზღვეველის მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდეზე, მათი მოძრაობის დროსა და მასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობაზე.

## განმარტებითი შენიშვნები ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების შესახებ

**39ბ. მზღვეველმა, რომელიც გადაწყვეტს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენებას, უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს:**

**ა) ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, როგორ დააკმაყოფილა მზღვეველმა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის კრიტერიუმები; და**

**ბ) იმ მზღვეველების მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნულ დროებით განთავისუფლების მიდგომას იყენებენ, შეუდარონ იმ საწარმოთა მონაცემებს, რომლებიც ფასს 9-ს იყენებენ.**

39გ. 39ბ(ა) პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნის მისაწევად, მზღვეველმა უნდა გაამჟღავნოს ის ფაქტი, რომ იყენებს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომას და ასევე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ 20ბ(ბ) პუნქტში მითითებული თარიღისთვის როგორ მივიდა მზღვეველი იმ დასკვნამდე, რომ აკმაყოფილებს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების კრიტერიუმებს, მათ შორის, უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) თუ წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში მყოფი ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანი საბალანსო ღირებულება ნაკლები ან ტოლი იყო ყველა მისი ვალდებულების მთლიანი საბალანსო ღირებულების 90%-ის – დაზღვევასთან დაკავშირებული ისეთი ვალდებულებების დახასიათება და საბალანსო ღირებულებების თანხები, რომლებიც წარმოშობილი არ არის წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში მყოფი ხელშეკრულებებიდან (ე.ი. ვალდებულებები, რომლებიც აღწერილია 20ე(ბ) და 20ე(გ) პუნქტებში);

ბ) თუ დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებების მთლიანი საბალანსო ღირებულების პროცენტული თანაფარდობა ყველა მისი ვალდებულების მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით ნაკლები ან ტოლი იყო 90 %-ის, მაგრამ იყო 80%-ზე მეტი – ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ დაადგინა მზღვეველმა, რომ მას არ განუხორციელებია ისეთი მნიშვნელოვანი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული არ იყო დაზღვევასთან, მათ შორის, რა ინფორმაცია გაითვალისწინა ამის დასადგენად; და

გ) თუ მზღვეველმა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების კრიტერიუმები დააკმაყოფილა 20ზ(ბ) პუნქტის შესაბამისად განმეორებითი შეფასების შემდეგ:

(i) განმეორებითი შეფასების მიზეზის ახსნა;

(ii) თარიღი, როდესაც მზღვეველის საქმიანობაში მოხდა შესაბამისი ცვლილებები; და

(iii) მის საქმიანობაში მომხდარი ცვლილების დაწვრილებით ახსნა და მზღვეველის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამგვარი ცვლილების გავლენის ხარისხობრივი აღწერა.

39დ. თუ საწარმო, 20ზ(ა) პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული აღარ არის დაზღვევასთან, მან, სანამ დაიწყებს ფასს 9-ის გამოყენებას, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გაამჟღავნოს შემდეგ ინფორმაცია:

ა) ის ფაქტი, რომ აღარ აკმაყოფილებს ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების კრიტერიუმებს;

ბ) თარიღი, როდესაც მის საქმიანობაში მოხდა შესაბამისი ცვლილება; და

გ) მის საქმიანობაში მომხდარი ცვლილების დაწვრილებითი ახსნა და ასევე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე ამგვარი ცვლილების გავლენის ხარისხობრივი აღწერა.

39ე. 39ბ(ბ) პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, მზღვეველმა უნდა გაამჟღავნოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილების სიდიდე ფინანსური აქტივების შემდეგი ორი ჯგუფისთვის ცალ-ცალკე:

ა) ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო პირობების შედეგად კონკრეტული თარიღებისთვის წარმოიქმნება ფულადი ნაკადები, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას წარმოადგენს (ე.ი. ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 9-ის 4.1.2(ბ) და 4.1.2ა(ბ) პუნქტების პირობებს), ისეთი ფინანსური აქტივების გარდა, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 9-ში განსაზღვრულ სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივის განმარტებას, ან, რომელთა მართვა და შედეგების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე (იხ. ფასს 9-ის პუნქტი ბ4.1.6);

ბ) 39ე(ა) პუნქტში აღწერილი ფინანსური აქტივების გარდა ყველა სხვა ფინანსური აქტივი; სხვა სიტყვებით, ნებისმიერი ფინანსური აქტივი:

(i) რომლის სახელშეკრულებო პირობების შედეგად კონკრეტული თარიღებისთვის არ წარმოიქმნება ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას;

(ii) რომელიც აკმაყოფილებს ფასს 9-ში განსაზღვრულ სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივის განმარტებას; ან

(iii) რომლის მართვა და შედეგების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

39ვ. როდესაც მზღვეველი ამჟღავნებს 39ე პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას:

ა) მას შეუძლია იგულისხმოს, რომ ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება იქნება მისი სამართლიანი ღირებულების დასაბუთებული მიახლოებითი მნიშვნელობა, თუ მზღვეველი ვალდებული არ არის, მისი სამართლიანი ღირებულება გაამჟღავნოს ფასს 7-ის 29(ა) პუნქტის შესაბამისად (მაგალითად, მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები); და

ბ) უნდა გაითვალისწინოს ამ ინფორმაციის დეტალიზაციის დონე, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან ფინანსური აქტივების მახასიათებლების შესახებ.

39ზ. 39ბ(ბ) პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, მზღვეველმა ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს საკრედიტო რისკის შესახებ, მათ შორის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციების თაობაზე, რაც დამახასიათებელია 39ე(ა) პუნქტში აღწერილი ფინანსური აქტივებისთვის. მზღვეველმა,

 © IFRS Foundation

როგორც მინიმუმი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ამგვარი ფინანსური აქტივების შესახებ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საკრედიტო რისკის რეიტინგის საფეხურების მიხედვით (როგორც ეს განმარტებულია ფასს 7-ში) საბალანსო ღირებულებები ბასს 39-ის შესაბამისად (ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში – საბალანსო ღირებულებები გაუფასურების რეზერვის სიდიდით კორექტირებამდე);

ბ) 39ე(ა) პუნქტში აღწერილი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებსაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დაბალი საკრედიტო რისკი არა აქვთ, სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის შესაბამისად (ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში – გაუფასურების რეზერვის სიდიდით კორექტირებამდე); მოცემული ინფორმაციის გამჟღავნების მიზნებისთვის, ფასს 9-ის ბ5.5.22 პუნქტი შესაბამის მოთხოვნებს ითვალისწინებს იმის დასადგენად, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი არის თუ არა დაბალი.

39თ. 39ზ(ზ) პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, მზღვეველმა ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს იმის შესახებ, თუ სად შეუძლიათ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, საჯაროდ ხელმისაწვდომი, ფასს 9-ის მიხედვით წარმოდგენილი, ისეთი ინფორმაციის მიღება, რომელიც ეხება ჯგუფში შემავალ საწარმოს, რომელიც წარმოდგენილი არ არის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. მაგალითად, ფასს 9-ის შესაბამისი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჯგუფში შემავალი იმ საწარმოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებიდან, რომელმაც ფასს 9 გამოიყენა.

39ი. თუ საწარმო გადაწყვეტს ბასს 28-ის გარკვეული მოთხოვნებიდან განთავისუფლების მიდგომის გამოყენებას, რომელიც აღწერილია 20პ პუნქტში, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

39კ. თუ საწარმომ ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომა გამოიყენა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში კუთვნილი ინვესტიციების წილობრივი მეთოდით აღრიცხვისას (მაგალითად, იხ. პუნქტი 20პ(ა)), საწარმომ იმ ინფორმაციის დამატებით, რომლის გამჟღავნებაც მოითხოვება ფასს 12-ით – „*განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ*“, უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) 39ბ-39თ პუნქტებში აღწერილი ინფორმაცია თითოეული მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შესახებ, რომელიც არსებითია მოცემული საწარმოსთვის. კერძოდ, ის ინფორმაცია, რომელიც ასახულია მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ კორექტირებების გათვალისწინების შემდეგ, რომლებიც საწარმომ შეიტანა წილობრივი მეთოდის გამოყენებისას (იხ. ფასს 12-ის ბ14(ა) პუნქტი) და არა ამ საწარმოს წილები ზემოაღნიშნულ თანხებში;

ბ) 39ბ-39თ პუნქტებში აღწერილი ხარისხობრივი ინფორმაცია აგრეგირებული სახით, ყველა ინდივიდუალურად არაარსებითი მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შესახებ. კერძოდ, აგრეგირებული თანხები:

(i) რომლებიც გამჟღავნდება, უნდა იყოს მოცემული საწარმოს წილი მითითებულ თანხებში; და

(ii) მეკავშირე საწარმოებთან მიმართებით გამჟღავნებული თანხები განცალკევებული უნდა იყოს ერთობლივ საწარმოებთან მიმართებით გამჟღავნებული აგრეგირებული თანხებისგან.

## ინფორმაციის გამჟღავნება გადაფარვის მიდგომის შესახებ

**39ლ. მზღვეველმა, რომელიც გადაფარვის მიდგომას იყენებს, უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ:**

**ა) როგორ გამოითვალა საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის რეკლასიფიცირებული მთლიანი თანხის ოდენობა; და**

**ბ) რა გავლენას ახდენს ამგვარი რეკლასიფიკაცია ფინანსურ ანგარიშგებაზე.**

39მ. 39ლ პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, მზღვეველმა უნდა გაამჟღავნოს:

ა) ის ფაქტი, რომ გამოიყენა გადაფარვის მიდგომა;

ზ) იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომელთა მიმართაც მზღვეველი იყენებს გადაფარვის მიდგომას, ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით;

გ) საფუძველი, რომლის მიხედვითაც საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრა ფინანსური აქტივები მათ მიმართ გადაფარვის მიდგომის გამოყენებისთვის, მათ შორის, უნდა ახსნას, ამგვარი ფინანსური აქტივებიდან რომელი იმყოფება იმ იურიდიული პირის ფარგლებს გარეთ, რომელიც დებს წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში მყოფ ხელშეკრულებებს;

დ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის რეკლასიფიცირებული მთლიანი თანხის ანალიზი იმგვარად, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, როგორ გამოითვალა საწარმომ აღნიშნული თანხა, მათ შორის:

(i) თანხა, რომელიც მოგებაში ან ზარალში ასახულია ფასს 9-ის შესაბამისად იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, რომლებიც საწარმომ საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრა გადაფარვის მიდგომის გამოყენების მიზნისთვის; და

(ii) თანხა, რომელიც აისახებოდა მოგებაში ან ზარალში ზემოაღნიშნულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი გამოიყენებდა ბასს 39-ს.

ე) 35ბ და 35ნ პუნქტებში აღწერილი რეკლასიფიკაციის გავლენა მოგების ან ზარალის შემადგენელ თითოეულ შესაბამის მუხლზე; და

ვ) თუ მზღვეველმა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფინანსურ აქტივებთან მიმართებით შეცვალა თავისი გადაწყვეტილება:

(i) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის რეკლასიფიცირებული თანხა, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ფინანსურ აქტივებთან, რომელიც საწარმომ ახლადა განსაზღვრა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაფარვის მიდგომის გამოყენებისთვის (იხ. პუნქტი 35 ვ(ბ));

(ii) თანხა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეკლასიფიცირებული იქნებოდა მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის იმ შემთხვევაში, თუ საწარმო არ შეცვლიდა ამ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით გადაფარვის მიდგომის გამოყენების გადაწყვეტილებას (იხ. პუნქტი 35ი (ა)); და

(iii) თანხა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის შემადგენლობაში იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული დაგროვილი სხვა სრული შემოსავლიდან, რომელთა მიმართაც საწარმომ შეცვალა გადაწყვეტილება გადაფარვის მიდგომის გამოყენების შესახებ (იხ. პუნქტი 35კ).

39ნ. თუ საწარმომ გადაფარვის მიდგომა გამოიყენა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში კუთვნილი ინვესტიციების წილობრივი მეთოდით აღრიცხვისას, საწარმომ ფასს 12-ის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის გარდა, უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაციაც:

ა) 39ლ-39მ პუნქტებში აღწერილი ინფორმაცია თითოეული მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შესახებ, რომელიც არსებითია მოცემული საწარმოსთვის. კერძოდ, ის ინფორმაცია, რომელიც ასახულია მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ კორექტირებების გათვალისწინების შემდეგ, რომლებიც საწარმომ შეიტანა წილობრივი მეთოდის გამოყენებისას (იხ. ფასს 12-ის ბ14(ა) პუნქტი) და არა ამ საწარმოს წილები ზემოაღნიშნულ თანხებში;

ბ) ხარისხობრივი ინფორმაცია 39ლ-39მ(დ) პუნქტებისა და 39მ(ვ) პუნქტის შესაბამისად და 35ბ პუნქტში აღწერილი რეკლასიფიკაციის გავლენა მოგებაზე ან ზარალზე და სხვა სრულ შემოსავალზე, აგრეგირებული სახით ყველა ინდივიდუალურად არაარსებითი მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შესახებ. კერძოდ, აგრეგირებული თანხები:

(i) რომლებიც გამჟღავნდება, უნდა იყოს მოცემული საწარმოს წილი მითითებულ თანხებში; და

(ii) მეკავშირე საწარმოებთან მიმართებით გამჟღავნებული თანხები განცალკევებული უნდა იყოს ერთობლივი საწარმოების შესახებ გამჟღავნებული აგრეგირებული თანხებისგან.

 © IFRS Foundation

## ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა

40. 41-45-ე პუნქტების გარდამავალი დებულებები ეხება სამეურნეო ერთეულს, რომელიც უკვე იყენებს სტანდარტს, მაგრამ პირველად იყენებს წინამდებარე სტანდარტს, ასევე იმ სამეურნეო ერთეულსაც, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს.

41. სამეურნეო ერთეულმა წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2005 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. რეკომენდებულია ვადამდელი გამოყენებაც. თუ სამეურნეო ერთეული წინამდებარე სტანდარტს უფრო წინა პერიოდისათვის იყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

41ა. 2005 წლის აგვისტოში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებები“* (ბასს 39-ისა და ფასს 4-ის შესწორებები) ცვლილებები გამოიწვია 4(დ), ბ18 (ზ) და ბ19(ვ) პუნქტებში. სამეურნეო ერთეულმა ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2006 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ სამეურნეო ერთეული ამ ცვლილებებს უფრო ადრეული პერიოდისათვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში და იმავე პერიოდისთვის გამოიყენოს ბასს 39-სა და ბასს 32-ში[4] შესული ცვლილებებიც.

41ბ. ბასს 1-მა (შესწორებული 2007 წელს) განაპირობა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის შეცვლა. გარდა ამისა, გამოიწვია 30-ე პუნქტის შეცვლაც. საწარმომ აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუ საწარმო ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.

41გ. [გაუქმებულია]

41დ. [გაუქმებულია]

41ე. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა – *„სამართლიანი ღირებულების შეფასება“* – გამოიწვია „ა“ დანართში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ საანგარიშგებო პერიოდში გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.

41ვ. [გაუქმებულია]

41ზ. 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა – *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* - გამოიწვია 4(ა) და (გ), ბ7, ბ18(თ) და ბ21 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.

41თ. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია მე-3, მე-4, მე-7, მე-8, მე-12, 34-ე, 35-ე, 45-ე, „ა“ დანართისა და ბ18–ბ20 შეცვლა და 41გ, 41დ და 41ვ პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.

41ი. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა გამოიწვია მე-4 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

### განმარტებითი შენიშვნები

42. სამეურნეო ერთეულს არ ეხება წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები ისეთი შესადარისი ინფორმაციის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია 2005 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ წლიურ პერიოდებთან, გარდა 37-ე (ა) და (ბ) პუნქტების იმ მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება სააღრიცხვო პოლიტიკას და აღიარებულ აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს (და ფულად ნაკადებს, თუ სამეურნეო ერთეული პირდაპირ მეთოდს იყენებს, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მოსამზადებლად).

---

4. როდესაც საწარმო ფასს 7-ს იყენებს, ბასს 32-ის ნაცვლად ფასს 7 უნდა მიუთითოს.

43. თუ შეუძლებელია 10-35-ე პუნქტების რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის გამოყენება, შესადარისი ინფორმაციის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია 2005 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ წლიურ პერიოდებთან, სამეურნეო ერთეულმა ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ზოგჯერ, ამგვარი შესადარისი ინფორმაციის მიმართ ვალდებულების ადეკვატურობის ტესტის გამოყენება (პჰ. 15-19), სავარაუდოდ, შეუძლებელი იქნება, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ შეუძლებელი იყოს 10-35-ე პუნქტების სხვა მოთხოვნების გამოყენება, ამგვარი შესადარისი ინფორმაციის მიმართ. ბასს 8-ში ახსნილია ცნება „შეუძლებელი“.

44. 39-ე (გ) (iii) პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, სამეურნეო ერთეულს არ ევალება ინფორმაციის გამჟღავნება იმ მოთხოვნების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც წარმოიშვა წინამდებარე სტანდარტის გამოყენების პირველი ფინანსური წლის ბოლოდან 5 წელზე უფრო ადრე. გარდა ამისა, როდესაც სამეურნეო ერთეული პირველად იყენებს მოცემულ სტანდარტს, თუ შეუძლებელია, რომ მან ინფორმაცია მოამზადოს ისეთი მოთხოვნების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც წარმოიშვა იმ უახლოესი პერიოდის დაწყებამდე, როდესაც სამეურნეო ერთეული სრულყოფილ შესადარის ინფორმაციას წარადგენს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, სამეურნეო ერთეულმა ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

### ფინანსური აქტივების ხელახალი კლასიფიცირება

45. ფასს 9-ის 4.4.1 პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, როდესაც მზღვეველი ცვლის სადაზღვევო ვალდებულებების სააღრიცხვო პოლიტიკას, მას უფლება ეძლევა, მაგრამ არ მოეთხოვება, მოახდინოს ყველა ან ზოგიერთი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია იმგვარად, რომ ისინი შეფასებული იყოს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“. ამგვარი რეკლასიფიკაცია ნებადართულია, თუ მზღვეველი თავის სააღრიცხვო პოლიტიკას მაშინ ცვლის, როდესაც პირველად იყენებს წინამდებარე სტანდარტს და თუ პოლიტიკას ცვლის შემდგომში, როგორც ეს ნებადართულია 22-ე პუნქტით. რეკლასიფიკაცია არის სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა და ამასთან დაკავშირებით გამოიყენება ბასს 8.

### ფასს 4-ის გამოყენება ფასს 9-სთან ერთად

#### დროებით განთავისუფლება ფასს 9-ის გამოყენებისგან

46. დოკუმენტი – „*ფასს 4-ის გამოყენება ფასს 9-სთან ერთად*“ (ფასს 4-ის შესწორებები) გამოიცა 2016 წლის სექტემბერში და გამოიწვია მე-3 და მე-5 პუნქტების შეცვლა და 20ა-20რ, 35ა და 25ბ-35კ პუნქტების დამატება, ასევე სათაურების დამატება მე-20, 20ლ, 20ო და 39ა პუნქტების შემდეგ. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებში, რომლებიც ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების უფლებას აძლევს იმ მზღვეველებს, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს.

47. საწარმომ, რომელიც ამჟღავნებს 39ზ-39კ პუნქტების შესაბამის აუცილებელ ინფორმაციას, უნდა გამოიყენოს ფასს 9-ის გარდამავალი დებულებები, რომლებიც ეხება ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებისთვის აუცილებელ შეფასებებს. ამ მიზნით საწარმომ თავდაპირველი გამოყენების თარიღად უნდა მიიჩნიოს პირველი წლიური პერიოდის დასაწყისი, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ.

#### გადაფარვის მიდგომა

48. 2016 წლის სექტემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „*ფასს 4-ის გამოყენება ფასს 9-სთან ერთად*“ *(ფასს 4-ის შესწორებები)* – გამოიწვია მე-3 და მე-5 პუნქტების შეცვლა და 35ა-35ო და 35ლ-35ნ პუნქტების დამატება, ასევე სათაურების დამატება 35ა, 35ლ, 35ნ და 39კ პუნქტების შემდეგ. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები, რომლებიც მზღვეველს გადაფარვის მიდგომის გამოყენების უფლებას აძლევს იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, რომლებსაც ის, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვრავს ამ მიზნისთვის, მაშინ უნდა გამოიყენოს, როდესაც პირველად გამოიყენებს ფასს 9-ს, (იხ. პუნქტი 35გ).

49. საწარმომ, რომელიც გადაფარვის მიდგომის გამოყენებას გადაწყვეტს:


© IFRS Foundation

ა) აღნიშნული მიდგომა ფასს 9-ზე გადასვლისას რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით. შესაბამისად, მაგალითად დაგროვილი სხვა სრული შემოსავლის ნაშთის შემადგენლობაში უნდა აღიაროს კორექტირების თანხა, რომელიც ტოლი იქნება ფასს 9-ის შესაბამისად განსაზღვრული მოცემული სპეციფიკური აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ბასს 39-ის შესაბამისად განსაზღვრულ საბალანსო ღირებულებას შორის;

ბ) გადაფარვის მიდგომის ასახვის მიზნით, უნდა გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებისთვის იყენებს ფასს 9-ს.

50. 2020 წლის აგვისტოში გამოცემულმა დოკუმენტმა *„საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – მე-2 ეტაპი“* , რომელმაც გამოიწვია ფასს 9-ის, ბასს 39-ის, ფასს 7-ის, ფასს 4-ისა და ფასს 16-ის შეცვლა, განაპირობა 20ს-20ტ და 51-ე პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებში. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი. საწარმომ ეს ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის შესაბამისად, გარდა 51-ე პუნქტში მითითებული შემთხვევებისა.

51. საწარმოს არ მოეთხოვება წინა პერიოდების მონაცემების გადაანგარიშება ამ ცვლილებების გამოყენების ასახვისთვის. საწარმოს წინა პერიოდების მონაცემების გადაანგარიშება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ამის გაკეთება შესაძლებელია წინა პერიოდის შემდგომ ინფორმაციაზე დაყრდნობის გარეშე. თუ საწარმო არ აკორექტირებს წინა პერიოდების მონაცემებს, მან გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტში, საჭიროებისამებრ) უნდა აღიაროს სხვაობა ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის არსებულ საბალანსო ღირებულებას შორის, რომელსაც განეკუთვნება ზემოაღნიშნული ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

# დანართი ა

# ტერმინების განმარტება

*წინამდებარე დანართი მოცემული სტანდარტის განუყოფელი ნაწილია*

| | |
|---|---|
| **გადამზღვევი** | გადაზღვევის ხელშეკრულების პოლისის მფლობელი. |
| **დეპოზიტური კომპონენტი** | სახელშეკრულებო კომპონენტი, რომელიც არ აისახება, როგორც წარმოებული ინსტრუმენტი ბასს 39-ის მიხედვით და მოხვდებოდა ბასს 39-ის მოქმედების სფეროში, თუ იარსებებდა ცალკე ინსტრუმენტის სახით. |
| **პირდაპირი სადაზღვევო ხელშეკრულება** | **სადაზღვევო ხელშეკრულება**, რომელიც არ არის **გადაზღვევის ხელშეკრულება**. |
| **დისკრეციული მონაწილეობის პირობა** | დამატებითი სარგებლის, როგორც **გარანტირებულ სარგებელზე** დამატების, მიღების სახელშეკრულებო უფლება:<br>ა) რომელიც, სავარაუდოდ, მთლიანი სახელშეკრულებო სარგებლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს;<br>ბ) რომლის სიდიდე ან ვადები, ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების გამცემის ნება-სურვილზეა დამოკიდებული;<br>გ) რომელიც ხელშეკრულების თანახმად ემყარება:<br>(i) მრავალი ხელშეკრულების გაერთიანების შედეგს ან ხელშეკრულების გარკვეულ ტიპს;<br>(ii) ხელშეკრულების გამცემის მფლობელობაში მყოფი აქტივების გარკვეულ ჯგუფთან დაკავშირებულ რეალიზებულ და/ან არარეალიზებულ საინვესტიციო უკუგებას;<br>(iii) კომპანიის მოგებას ან ზარალს, ფონდებს ან სხვა სამეურნეო ერთეულს, რომელიც ხელშეკრულებას გასცემს. |
| **სამართლიანი ღირებულება** | სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. (იხ. ფასს 13) |
| **ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება** | ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვს, რომ ემიტენტმა გარკვეული წინასწარ დადგენილი თანხა გადაუხადოს გარანტიის მფლობელს ზარალისთვის, რომელსაც მიიღებს იმის გამო, რომ ამა თუ იმ კონკრეტულმა დებიტორმა ვერ გადაიხადა ვალი თავის დროზე, სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან შეცვლილი პირობების შესაბამისად. |
| **ფინანსური რისკი** | შესაძლო სამომავლო ცვლილებების რისკი ერთ ან მეტ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთში, ფინანსური ინსტრუმენტის ფასში, საქონლის ფასში, ვალუტის გაცვლით კურსში, ფასების ინდექსში ან განაკვეთებში, საკრედიტო რეიტინგში ან კრედიტის ინდექსში, ან სხვა ცვლადში, არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, თუ ეს ცვლადი სპეციფიკური არ არის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისათვის. |
| **გარანტირებული სარგებელი** | გადახდები ან სხვა სახის სარგებელი, რომელზეც კონკრეტულ **პოლისის მფლობელს** ან ინვესტორს უპირობო უფლება აქვს და არ ექვემდებარება ხელშეკრულების გამცემის ნება-სურვილს, ხელშეკრულების თანახმად. |


© IFRS Foundation

| | |
|---|---|
| **გარანტირებული ელემენტი** | **გარანტირებული სარგებლის** გადახდის ვალდებულება, მათ შორის ისეთ ხელშეკრულებაშიც, რომელიც მოიცავს **დისკრეციული მონაწილეობის პირობას.** |
| **სადაზღვევო აქტივი** | **მზღვეველის** ნეტო სახელშეკრულებო უფლებები, **სადაზღვევო ხელშეკრულების** შესაბამისად. |
| **სადაზღვევო ხელშეკრულება** | ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ერთი მხარე (**მზღვეველი**) თავის თავზე იღებს მეორე მხარის (**პოლისის მფლობელის**) მნიშვნელოვან **სადაზღვევო რისკს,** შეთანხმების თანახმად, კომპენსაცია გადაუხადოს პოლისის მფლობელს, თუ ესა თუ ის კონკრეტული განუსაზღვრელი მოვლენა (**სადაზღვევო შემთხვევა**) უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე (მოცემულ განმარტებაზე მითითებების გასაცნობად იხ. დანართი (ბ)). |
| **სადაზღვევო ვალდებულება** | **მზღვეველის** ნეტო სახელშეკრულებო ვალდებულებები **სადაზღვევო ხელშეკრულების** მიხედვით. |
| **სადაზღვევო რისკი** | რისკი, **ფინანსური რისკის** გარდა, რომელიც ხელშეკრულების მფლობელისაგან გადაეცემა ხელშეკრულების გამცემს. |
| **სადაზღვევო შემთხვევა** | მომავალი განუსაზღვრელი მოვლენა, რომელსაც მოიცავს **სადაზღვევო ხელშეკრულება** და რომელიც წარმოქმნის **სადაზღვევო რისკს**. |
| **მზღვეველი** | მხარე, რომელსაც **სადაზღვევო ხელშეკრულების** თანახმად აქვს ვალდებულება, კომპენსაცია გადაუხადოს **პოლისის მფლობელს**, თუ მოხდება **სადაზღვევო შემთხვევა**. |
| **ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი** | შეფასება, საჭიროებს თუ არა **სადაზღვევო ვალდებულების** საბალანსო ღირებულება გაზრდას (ან შესაბამისი გადავადებული შეძენის დანახარჯები, ან შესაბამისი არამატერიალური აქტივები შემცირებას), რომელიც ემყარება მომავალი ფულადი ნაკადების მიმოხილვას. |
| **პოლისის მფლობელი** | მხარე, რომელსაც აქვს კომპენსაციის მიღების უფლება **სადაზღვევო ხელშეკრულების** თანახმად, თუ **სადაზღვევო შემთხვევა** მოხდება |
| **გადაზღვეული აქტივები** | **გადაზღვევის პოლისის მფლობელის** ნეტო სახელშეკრულებო უფლებები, გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად. |
| **გადაზღვევის ხელშეკრულება** | **სადაზღვევო ხელშეკრულება**, რომელიც გასცა ერთმა **მზღვეველმა** (**გადამზღვეველმა**), რათა მეორე მზღვეველს (**გადაზღვევის პოლისის მფლობელს**) აუნაზღაუროს გადაზღვევის პოლისის მფლობელის მიერ გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალი. |
| **გადამზღვევი** | მხარე, რომელსაც **გადაზღვევის ხელშეკრულების** თანახმად აქვს ვალდებულება, კომპენსაცია გადაუხადოს **გადაზღვევის პოლისის მფლობელს**, თუ მოხდება **სადაზღვევო შემთხვევა**. |
| **განცალკევება** | ხელშეკრულების კომპონენტების აღრიცხვა ისე, თითქოს ისინი ცალკე ხელშეკრულებები იყოს. |

© IFRS Foundation

# დანართი ბ

# სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტება

*წინამდებარე დანართი მოცემული სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.*

ბ1. წინამდებარე დანართი შეიცავს მითითებებს (ა) დანართში მოცემული სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტების შესახებ. მითითებები შეეხება შემდეგ საკითხებს:

ა) ცნება „განუსაზღვრელი მომავალი მოვლენა“ (პპ. ბ2-ბ4);

ბ) გადახდა ნატურით (პპ. ბ5-ბ7);

გ) სადაზღვევო რისკი და სხვა რისკები (პპ. ბ8-ბ17);

დ) სადაზღვევო ხელშეკრულებების მაგალითები (პპ. ბ18-ბ21);

ე) მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი (პპ. ბ22-ბ28); და

ვ) ცვლილებები სადაზღვევო რისკში (პპ. ბ29-ბ30).

## განუსაზღვრელი მომავალი მოვლენა

ბ2. განუსაზღვრელობა (ან რისკი) არის სადაზღვევო ხელშეკრულების არსი. შესაბამისად, სადაზღვევო ხელშეკრულების დასაწყისში, ქვემოთ ჩამოთვლილიდან სულ მცირე ერთ-ერთი მაინც გაურკვეველია:

ა) მოხდება თუ არა სადაზღვევო შემთხვევა;

ბ) როდის მოხდება; ან

გ) რამდენი უნდა გადაიხადოს მზღვეველმა, თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდება.

ბ3. ზოგიერთ სადაზღვევო ხელშეკრულებაში, სადაზღვევო შემთხვევა არის ზარალის (დანაკარგის) გამოვლენა ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, თუნდაც ეს ზარალი ისეთი მოვლენისაგან იყოს წარმოშობილი, რომელიც ხელშეკრულების დაწყებამდე მოხდა. სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებში სადაზღვევო შემთხვევა არის მოვლენა, რომელიც მოხდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, თუნდაც ამის შედეგად გამოწვეული ზარალი ხელშეკრულების ვადის შემდეგ გამოვლინდეს.

ბ4. ზოგიერთი სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ისეთ მოვლენებს, რომლებიც უკვე მომხდარია, მაგრამ რომელთა ფინანსური ეფექტი ჯერ კიდევ გაურკვეველია. მაგალითად, გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც ეხება პირდაპირ მზღვეველს, პოლისის მფლობელის მიერ სადაზღვევო მოთხოვნების უარყოფითი განვითარების შესახებ უკვე წარდგენილი ანგარიშის გამო. ამგვარ ხელშეკრულებებში სადაზღვევო შემთხვევა არის ამ მოთხოვნების საბოლოო ღირებულების გამოვლენა.

## გადახდა ნატურით

ბ5. ზოგიერთი სადაზღვევო ხელშეკრულება ნატურით გადახდას მოითხოვს ან ნატურით გადახდის უფლებას იძლევა. მაგალითად, როდესაც მზღვეველი შეცვლის მოპარულ მუხლს პირდაპირ, ნაცვლად იმისა, რომ პოლისის მფლობელს აუნაზღაუროს დანაკარგი. მეორე მაგალითი, როდესაც მზღვეველი თავის საავადმყოფოებსა და მედპერსონალს იყენებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების გასაწევად.

ბ6. ზოგიერთი ფიქსირებულ ანაზღაურებაზე დაფუძნებული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მომსახურების დონე დამოკიდებულია განუსაზღვრელ მოვლენაზე, აკმაყოფილებს წინამდებარე სტანდარტში მოცემულ სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში არ რეგულირდება, როგორც სადაზღვევო ხელშეკრულება. ამგვარი სიტუაციის ერთ-ერთი მაგალითი არის ხელშეკრულება ტექნიკურ მომსახურებაზე, რომლის თანახმად მომსახურების მიმწოდებელი მხოლოდ გარკვეული მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ არის შეთანხმებული რემონტის ჩატარებაზე. ფიქსირებულ ანაზღაურებაზე დაფუძნებული მომსახურება ითვალისწინებს მოწყობილობების გაფუჭების სავარაუდო რაოდენობას, მაგრამ გაურკვეველია, ესა თუ ის კონკრეტული მანქანა გატყდება თუ არა. მოწყობილობის ავარია უარყოფით გავლენას ახდენს მის მფლობელზე და ხელშეკრულება მის მფლობელს ზარალს უნაზღაურებს (ნატურით და არა ფულით). შემდეგი მაგალითია ხელშეკრულება, რომელიც ეხება ავტომანქანის დამტვრევის დროს მომსახურებას, როდესაც ხელშეკრულებით მომსახურების მიმწოდებელი ათანხმებს წლიურ ფიქსირებულ საზღაურს, რათა ავტომანქა-

 © IFRS Foundation

ნას გზაზე დახმარება გაუწიოს, ან ბუქსირით წაიყვანოს უახლოეს ავტოგასამართ სადგურამდე. ეს უკანასკნელი ხელშეკრულება დააკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას მაშინაც კი, თუ მომსახურების მიმწოდებელი არ შეათანხმებს რემონტის ჩატარებას ან ნაწილების შეცვლას.

ბ7. (ბ6) პუნქტში დახასიათებული ხელშეკრულებების მიმართ მოცემული სტანდარტის გამოყენება, ალბათ, არ იქნება იმაზე მეტად მძიმე ტვირთი, ვიდრე იმ სტანდარტების გამოყენება, რომლებიც შესაფერისი იქნებოდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისთვის, თუ ისინი დარჩებოდა მოცემული სტანდარტის მოქმედების სფეროს მიღმა:

ა) ამ ხელშეკრულებებში საეჭვოა, რომ არსებობდეს არსებითი ვალდებულებები მოწყობილობის გაფუჭებისა და გატეხვის შესახებ, რაც უკვე მოხდა;

ბ) ფასს 15-ის გამოყენების შემთხვევაში, მომსახურების მომწოდებელი ამონაგებს აღიარებს, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელს მომსახურებას გადასცემს (სხვა დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით). აღნიშნული მიდგომა მისაღებია მოცემული სტანდარტისთვისაც, რაც მომსახურების მომწოდებელს უფლებას აძლევს (1) გააგრძელოს თავისი არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, თუ ეს პოლიტიკა არ შეიცავს მე-14 პუნქტით აკრძალულ მეთოდებს და (2) გააუმჯობესოს თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა, თუ ამის გაკეთება ნებადართულია 22-30-ე პუნქტებით;

გ) მომსახურების მიმწოდებელი განიხილავს, აღემატება თუ არა წინასწარ მიღებულ ამონაგებს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მისი სახელშეკრულებო ვალდებულებების დაკმაყოფილების ღირებულება. ამ მიზნით, ის იყენებს წინამდებარე სტანდარტის მე-15-19 პუნქტებში აღწერილ ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს. თუ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისათვის არ გამოიყენება წინამდებარე სტანდარტი, მაშინ მომსახურების მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს ბასს 37 - *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“* – იმის დასადგენად, არის თუ არა ხელშეკრულება წაგებიანი.

დ) ნაკლებად სარწმუნოა, რომ ამ ხელშეკრულებებისთვის გათვალისწინებულმა, მოცემული სტანდარტის განმარტებითმა მოთხოვნებმა რაიმე მნიშვნელოვანი შემატოს სხვა სტანდარტებით მოთხოვნილ გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

## სადაზღვევო რისკსა და სხვა რისკებს შორის განსხვავება

ბ8. სადაზღვევო ხელშეკრულებების განმარტება უკავშირდება სადაზღვევო რისკს. სადაზღვევო რისკი მოცემულ სტანდარტში განმარტებულია, როგორც რისკი, რომელიც არ არის ფინანსური რისკი და გადაეცემა ხელშეკრულების მფლობელისაგან ხელშეკრულების გამცემს. ხელშეკრულება, რომელიც ხელშეკრულების გამცემს დამოკიდებულს ხდის ფინანსურ რისკზე, მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკის გარეშე, არ არის სადაზღვევო ხელშეკრულება.

ბ9. (ა) დანართში განმარტებული ფინანსური რისკი მოიცავს მთელ რიგ ფინანსურ და არაფინანსურ ცვლადებს. ამ სიაში შედის არაფინანსური ცვლადები, რომლებიც დამახასიათებელი არ არის ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, როგორიცაა: ამა თუ იმ რეგიონში მიწისძვრის ზარალის ინდექსი, ან ამა თუ იმ კონკრეტულ ქალაქში ტემპერატურის ინდექსი. რისკის განმარტება გამორიცხავს ისეთ არაფინანსურ ცვლადებს, რომლებიც დამახასიათებელია ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, მაგალითად, ხანძრის მოხდენა ან არმოხდენა, რომელიც აზიანებს ან ანადგურებს მის აქტივს. გარდა ამისა, არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეცვლის რისკი არ წარმოადგენს ფინანსურ რისკს, თუ აქტივის სამართლიანი ღირებულება ასახავს არა მარტო ამ აქტივების საბაზრო ფასების ცვლილებებს (ფინანსური ცვლადი), არამედ ასევე ასახავს ხელშეკრულების მონაწილე მხარის მფლობელობაში მყოფი ამა თუ იმ სპეციფიკური არაფინანსური აქტივის მდგომარეობასაც (არაფინანსური ცვლადი). მაგალითად, თუ ამა თუ იმ კონკრეტული ავტომანქანის ნარჩენი ღირებულების გარანტიის მიმღები, გარანტიის გამცემს დამოკიდებულს ხდის ავტომანქანის ფიზიკური მდგომარეობის ცვლილებების რისკზე, ასეთი რისკი სადაზღვევო რისკია და არა ფინანსური.

ბ10. ზოგიერთი ხელშეკრულება, მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკის გარდა, ხელშეკრულების გამცემს დამოკიდებულს ხდის ფინანსურ რისკზეც. მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის მრავალი ხელშეკრულება პოლისის მფლობელს აძლევს მინიმალური დონის უკუგების გარანტიას (ფინანსური რისკის წარმოქმნა) და დათქმულ სარგებელს გარდაცვალების შემთხვევაში, რაც ზოგჯერ მნიშვნელოვნად აღემატება პოლისის მფლობელის ანგარიშის ნაშთს (სადაზღვევო რისკის წარმოქმნა სიკვდილიანობის რისკის ფორმით). ამგვარი ხელშეკრულებები სადაზღვევო ხელშეკრულებებია.

ბ11. ზოგიერთ ხელშეკრულებაში სადაზღვევო შემთხვევა ითვალისწინებს ისეთი თანხის გადახდას, რომელიც დაკავშირებულია ფასის ინდექსთან. ამგვარი ხელშეკრულება სადაზღვევო ხელშეკრულება იქნება მაშინ, თუ გადახდა, რომელიც პირობითია სადაზღვევო შემთხვევაზე დამოკიდებულებით, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. მაგალითად, მუდმივი პირობითი ანუიტეტი დაკავშირებულია სიცოცხლის ღირებულების ინდექსთან და გადასცემს სადაზღვევო რისკს, ვინაიდან გადახდა დამოკიდებულია განუსაზღვრელ მოვლენაზე – წლიური რენტის მიმღების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ფასის ინდექსთან კავშირი ჩართული წარმოებული ინსტრუმენტია, მაგრამ ისიც ასევე გადასცემს სადაზღვევო რისკს. თუ სადაზღვევო რისკის გადაცემის შედეგი მნიშვნელოვანია, მაშინ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას და ასეთ შემთხვევაშიც საჭირო არ არის მისი გამოცალკევება და სამართლიანი ღირებულებით შეფასება (იხ. წინამდებარე სტანდარტის მე-7 პუნქტი.

ბ12. სადაზღვევო რისკის განსაზღვრება უკავშირდება რისკს, რომელსაც მზღვეველი იღებს პოლისის მფლობელისაგან. სხვა სიტყვებით, სადაზღვევო რისკი არის წარმოქმნამდე არსებული რისკი, რომელიც პოლისის მფლობელისაგან მზღვეველს გადაეცემა. ამგვარად, ახალი რისკი, რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულებით, არ არის სადაზღვევო რისკი.

ბ13. სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტება უკავშირდება უარყოფით გავლენას პოლისის მფლობელზე. ეს განმარტება არ ზღუდავს მზღვეველის მხრიდან გადასახდელ თანხას იმ ოდენობით, რომელიც უარყოფითი მოვლენის ფინანსური შედეგის ტოლი იქნება. მაგალითად, ეს განმარტება არ გამორიცხავს „ახალი ძველისთვის“ ტიპის დაფარვას, რომელსაც იხდის მფლობელი, რაც საკმარისია იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს დაზიანებული ძველი აქტივის ახლით შეცვლა. ანალოგიურად, ეს განმარტება, ვადიანი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დროს, არ ზღუდავს იმ ფინანსური ზარალის კომპენსაციისათვის გადახდას, რომელიც განიცადეს გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფმა პირებმა, ასევე არც წინასწარგანსაზღვრული თანხის გადახდას, სიკვდილით ან უბედური შემთხვევით გამოწვეული ზარალის რაოდენობის დასადგენად.

ბ14. ზოგიერთი ხელშეკრულება მაშინ მოითხოვს გადახდას, თუ კონკრეტული განუსაზღვრელი მოვლენა მოხდება, მაგრამ გადახდის წინაპირობად არ მოითხოვს უარყოფით გავლენას პოლისის მფლობელზე. ამგვარი ხელშეკრულება არ არის სადაზღვევო ხელშეკრულება მაშინაც კი, თუ მფლობელი ხელშეკრულებას იყენებს საფუძვლად აღებული რისკის შესასუსტებლად. მაგალითად, თუ მფლობელი წარმოებულ ინსტრუმენტს იყენებს ხელშეკრულების საფუძვლად აღებული არაფინანსური ცვლადის ჰეჯირებისთვის, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო ერთეულის აქტივიდან მისაღებ ფულად ნაკადებთან, ეს წარმოებული ინსტრუმენტი არ იქნება სადაზღვევო ხელშეკრულება, ვინაიდან გადახდა არ არის დამოკიდებული იმაზე, უარყოფით გავლენას იქონიებს თუ არა მფლობელზე აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების შემცირება. პირიქით, სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტება უკავშირდება განუსაზღვრელ მოვლენას, რომლისთვისაც უარყოფითი გავლენა პოლისის მფლობელზე წარმოადგენს გადახდის სახელშეკრულებო წინაპირობას. ეს სახელშეკრულებო წინაპირობა მზღვეველს არ ავალდებულებს, რომ გამოიკვლიოს, იწვევს თუ არა მოცემული მოვლენა უარყოფით შედეგს ფაქტობრივად, არამედ უფლებას აძლევს მას, უარი თქვას გადახდაზე, თუ არ დარწმუნდება, რომ მოცემული მოვლენა იწვევს უარყოფით შედეგს.

ბ15. ხელშეკრულების ძალის დაკარგვის ან გახანგრძლივების რისკი (ე.ი. რისკი იმისა, რომ კონტრაჰენტი იმაზე ადრე ან გვიან გააუქმებს ხელშეკრულებას, ვიდრე ხელშეკრულების გამცემი მოელოდა ხელშეკრულების ფასწარმოქმნის პირობებით) არ არის სადაზღვევო რისკი, ვინაიდან კონტრაჰენტისათვის გადახდა არ არის პირობითი და დამოკიდებული მომავალ განუსაზღვრელ მოვლენაზე, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კონტრაჰენტზე. ანალოგიურად, ხარჯის რისკი (ანუ ხელშეკრულების მომსახურებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დანახარჯების მოულოდნელი ზრდის რისკი და არა დაზღვეულ მოვლენებთან დაკავშირებული დანახარჯებისა) არ არის სადაზღვევო რისკი, ვინაიდან ხარჯების მოულოდნელი ზრდა უარყოფით გავლენას არ ახდენს კონტრაჰენტზე.

ბ16. ამგვარად, ხელშეკრულება, რომელიც ხელშეკრულების გამცემს დამოკიდებულს ხდის ძალის დაკარგვის რისკზე, გახანგრძლივების რისკზე ან ხარჯის რისკზე, არ არის სადაზღვევო ხელშეკრულება, თუ ეს ხელშეკრულება იმავდროულად ხელშეკრულების გამცემს დამოკიდებულს არ ხდის სადაზღვევო რისკზეც. თუმცა, თუ ხელშეკრულების გამცემი ამ რისკს ასუსტებს მეორე ხელშეკრულებით, რომელიც მოცემული რისკის ნაწილს სხვა მხარეს გადასცემს, მაშინ მეორე ხელშეკრულება სხვა მხარეს დამოკიდებულს ხდის სადაზღვევო რისკზე.

 © IFRS Foundation

ბ17. მზღვეველს პოლისის მფლობელისაგან მხოლოდ მაშინ შეუძლია მნიშვნელოვანი რისკის მიღება, თუ მზღვეველი არის პოლისის მფლობელისაგან განცალკევებული სამეურნეო ერთეული. როდესაც მზღვეველი წარმოადგენს პოლისის მფლობელთა ერთობლივი სახსრების მენეჯერს, ის რისკს იღებს თითოეული პოლისის მფლობელისაგან და აერთიანებს ამ რისკს. მართალია, პოლისის მფლობელები ერთობლივად არიან გაერთიანებული რისკის მატარებლები თავიანთ შესაძლებლობებში, როგორც მესაკუთრეები, მაგრამ გაერთიანებული კომპანია მაინც ისეთ რისკს იღებს, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების არსს.

## სადაზღვევო ხელშეკრულების მაგალითები

ბ18. ქვემოთ განხილულია ხელშეკრულებების მაგალითები, რომლებიც მაშინ იქნება სადაზღვევო ხელშეკრულებები, თუ სადაზღვევო რისკის გადაცემა მნიშვნელოვანი იქნება:

ა) ქონების დაზღვევა ქურდობისაგან ან დაზიანებისაგან;

ბ) დაზღვევა პროდუქციის ვალდებულებისაგან, პროფესიული ვალდებულებისაგან, მოქალაქეობრივი ვალდებულებისაგან ან იურიდიული ხარჯებისაგან;

გ) სიცოცხლის დაზღვევა და დაკრძალვის პროცესის მომზადება (მართალია, სიკვდილი გარკვეულია, მაგრამ განუსაზღვრელია, როდის მოხდება სიკვდილი, ან ზოგიერთი ტიპის სიცოცხლის დაზღვევისათვის, როდის მოხდება სიკვდილი დაზღვევით მოცული პერიოდის განმავლობაში);

დ) მუდმივი პირობითი ანუიტეტები და პენსიები (ე.ი. ხელშეკრულებები, რომლებიც კომპენსაციას ითვალისწინებს მომავალი განუსაზღვრელი მოვლენისათვის – რენტის მიმღების ან პენსიონერის სიცოცხლის ხანგრძლივობა – რენტის მიმღებს (ანუიტენტს) ან პენსიონერს ეხმარება შეინარჩუნოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხოვრების სტანდარტი, რაზედაც სხვა შემთხვევაში უარყოფით გავლენას იქონიებდა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა);

ე) შრომისუუნარობა და სამედიცინო დახმარება;

ვ) სხვადასხვა სახის საგარანტიო ვალდებულებები, საიმედოობის ვალდებულებები, შესრულების ვალდებულებები და შეთავაზების ვალდებულებები (ანუ ხელშეკრულებები, რომლებიც კომპენსაციას მაშინ უზრუნველყოფს, თუ მეორე მხარე არ შეასრულებს ამა თუ იმ სახელშეკრულებო ვალდებულებას, მაგალითად, შენობის აშენების ვალდებულებას);

ზ) კრედიტის დაზღვევა, როდესაც ხელშეკრულების მფლობელს გარკვეული თანხა გადაეხდება, თუ ის ზარალს მიიღებს წინასწარ განსაზღვრული დებიტორისაგან ვალის გადაუხდელობის გამო, როდესაც დადგება სავალო ინსტრუმენტის დაფარვის თავდაპირველი ან შეცვლილი ვადა. ამ ხელშეკრულებებს შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა ჰქონდეს, როგორიცაა ფინანსური გარანტია, აკრედიტივი, ან სადაზღვევო ხელშეკრულება. ამასთან, მართალია აღნიშნული ხელშეკრულებები აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას, მაგრამ ასევე აკმაყოფილებს ფასს 9-ში მოცემულ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების განმარტებას და ხვდება ბასს 32-ისა[5] და ფასს 9-ის და არა ამ სტანდარტის მოქმედების სფეროში (იხ. პუნქტი 4(დ)). მიუხედავად ამისა, თუ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ემიტენტმა ადრე აშკარად დაასაბუთა, რომ იგი ამგვარ ხელშეკრულებებს სადაზღვევო ხელშეკრულებებად მიიჩნევს და გამოიყენა სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შესაფერისი სააღრიცხვო მიდგომა, მას ასეთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის შეუძლია აირჩიოს ბასს 32-ისა[6] და ფასს 9-ის, ან წინამდებარე სტანდარტის გამოყენება.

თ) პროდუქციასთან დაკავშირებული გარანტიები. პროდუქციასთან დაკავშირებული გარანტიები, რომლებიც გაცემული აქვს სხვა მხარეს მწარმოებლის, დილერის ან საცალო ვაჭრობის საწარმოს მიერ გაყიდული საქონლისათვის, თავსდება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში. თუმცა, თუ პროდუქციასთან დაკავშირებული გარანტიები უშუალოდ მწარმოებლის, დილერის ან საცალო ვაჭრობის საწარმოს მიერ არის გაცემული, ამგვარი ხელშეკრულებები სცილდება ამ სტანდარტის ფარგლებს, ვინაიდან განეკუთვნება ფასს 15-ისა და ბასს 37-ის მოქმედების სფეროს;

5. როდესაც საწარმო ფასს 7-ს იყენებს, ბასს 32-ის ნაცვლად ფასს 7 უნდა იგულისხმოს.

6. როდესაც საწარმო ფასს 7-ს იყენებს, ბასს 32-ის ნაცვლად ფასს 7 უნდა იგულისხმოს.

ი) საკუთრების უფლებების დაზღვევა (ანუ მიწის საკუთრების უფლებაში ნაკლოვანებების გამოვლენის დაზღვევა, რაც სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დროს არ იყო გამოვლენილი). ასეთ შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევა იქნება მიწის უფლებაში გამოვლენილი ნაკლოვანება და არა თავისთავად მიწის დეფექტი;

კ) დახმარება მოგზაურობის დროს (ანუ პოლისის მფლობელისათვის კომპენსაციის გადახდა ფულადი სახსრებით ან ნატურით იმ ზარალისთვის, რომელსაც მიიღებს მოგზაურობის დროს). ამ ტიპის ზოგიერთი ხელშეკრულება განხილულია ბ6 და ბ7 პუნქტებში;

ლ) სტიქიური უბედურებების რისკების დასაზღვევად გამოშვებული ობლიგაციები, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი თანხის, პროცენტის ან ორივეს შემცირებულ გადახდას, თუ ესა თუ ის კონკრეტული მოვლენა უარყოფითად იმოქმედებს სავალო ვალდებულებების ემიტენტზე (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვლენა არ წარმოქმნის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, მაგალითად, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა არის საპროცენტო განაკვეთის ან ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება);

მ) სადაზღვევო სვოპები და სხვა ხელშეკრულებები, რომლებიც მოითხოვს გადახდას კლიმატური, გეოგრაფიული ან სხვა ისეთი ფიზიკური ცვლადების ცვლილებებზე დაყრდნობით, რომელიც დამახასიათებელია ხელშეკრულების რომელიმე მონაწილე მხარისათვის;

ნ) გადაზღვევის ხელშეკრულებები.

ბ19. ქვემოთ ჩამოთვლილია ხელშეკრულებების მაგალითები, რომლებიც არ წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებას:

ა) საინვესტიციო ხელშეკრულებები, რომლებსაც იურიდიულად სადაზღვევო ხელშეკრულების ფორმა აქვს, მაგრამ მზღვეველი დამოკიდებული არ ხდება მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკზე, მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მზღვეველი არ არის მნიშვნელოვანი სიკვდილიანობის რისკის მატარებელი (ამგვარი ხელშეკრულებები არის არასადაზღვევო ფინანსური ინსტრუმენტები ან მომსახურების ხელშეკრულებები, იხ. პუნქტები ბ20 და ბ21);

ბ) ხელშეკრულებები, რომლებსაც სამართლებრივად სადაზღვევო ხელშეკრულების ფორმა აქვს, მაგრამ ყველა მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს გადასცემენ პოლისის მფლობელს, არაგაუქმებადი და იძულებითი მექანიზმის მეშვეობით, რომლითაც პოლისის მფლობელისათვის გადახდა ხდება მომავალში მიღებული ზარალის პირდაპირი შედეგის სახით (როგორც წესი, ამგვარი ხელშეკრულებები არის არასადაზღვევო ფინანსური ინსტრუმენტები ან მომსახურების ხელშეკრულებები, იხ. პუნქტები ბ20 და ბ21);

გ) თვითდაზღვევა, სხვა სიტყვებით, იმ რისკის შენარჩუნება, რომელიც უნდა მოეცვა დაზღვევას (ეს არ არის სადაზღვევო ხელშეკრულება, ვინაიდან არ არსებობს ხელშეკრულება სხვა მხარესთან);

დ) ხელშეკრულებები (როგორიცაა სპეკულაციური თამაშები ბირჟაზე), რომლებიც მოითხოვს გადახდას, თუ მოხდება კონკრეტული მომავალი განუსაზღვრელი მოვლენა, მაგრამ არ მოითხოვს როგორც სახელშეკრულებო გადახდის წინაპირობას, რომ ამ მოვლენამ უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლისის მფლობელზე. თუმცა, ეს ხელს არ უშლის გადახდის პირობის წინასწარ განსაზღვრას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენით, როგორიცაა სიკვდილი ან უბედური შემთხვევა, გამოწვეული ზარალის რაოდენობრივი შეფასების გასაკეთებლად (იხ. ასევე პ. ბ13);

ე) წარმოებული ინსტრუმენტები, რომლებიც ერთ-ერთ მხარეს დამოკიდებულს ხდის ფინანსურ რისკზე, მაგრამ არა სადაზღვევო რისკზე, ვინაიდან ეს ინსტრუმენტები მოითხოვს, რომ ამ მხარემ მხოლოდ მაშინ გადაუხადოს მეორეს, თუ შეიცვლება ერთი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლადებიდან: დადგენილი საპროცენტო განაკვეთი, ფინანსური ინსტრუმენტის ფასი, საქონლის ფასი, ვალუტის გაცვლითი კურსი, ფასების ინდექსი ან განაკვეთი, კრედიტის რეიტინგი ან კრედიტის ინდექსი, ან სხვა ცვლადები, რომლებიც გაითვალისწინება ისეთი არაფინანსური ცვლადების შემთხვევაში, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის (იხ. ფასს 9);

ვ) კრედიტთან დაკავშირებული გარანტიები (ან აკრედიტივი, ან კრედიტის წარმოებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე, ან ხელშეკრულება კრედიტის დაზღვევაზე),


© IFRS Foundation

რომელიც გადახდას მაშინაც მოითხოვს, თუ მფლობელს ზარალი არ განუცდია დებიტორისგან ვალის გადაუხდელობის გამო, გადახდის ვადის დადგომის დროს (იხ. ფასს 9);

ზ) ხელშეკრულებები, რომლებიც გადახდას მოითხოვს კლიმატური, გეოგრაფიული ან სხვა ფიზიკური ცვლადის მიხედვით, რომელიც არ არის დამახასიათებელი ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის (საერთოდ, მათ უწოდებენ ამინდის წარმოებულებს);

თ) სტიქიური უბედურებების ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს ძირითადი თანხის, პროცენტის ან ორივეს შემცირებულად გადახდას კლიმატურ, გეოგრაფიულ ან სხვა ფიზიკურ ცვლადზე დაყრდნობით, რომელიც დამახასიათებელი არ არის ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის.

ბ20. თუ ბ19 პუნქტში აღწერილი ხელშეკრულებები წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს ან ფინანსურ ვალდებულებებს, მაშინ ისინი განეკუთვნება ფასს 9-ის მოქმედების სფეროს. სხვასთან ერთად, ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეები ხელშეკრულებისათვის იყენებენ მეთოდს, რომელსაც ზოგჯერ სადეპოზიტო ბუღალტრულ აღრიცხვას უწოდებენ, რაც მოიცავს შემდეგს:

ა) ერთი მხარე მიღებულ კომპენსაციას აღიარებს ფინანსური ვალდებულების და არა ამონაგების სახით;

ბ) მეორე მხარე გადახდილ კომპენსაციას აღიარებს ფინანსური აქტივის და არა ხარჯის სახით.

ბ21. როდესაც ბ19 პუნქტში აღწერილი ხელშეკრულებები არ წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს ან ფინანსურ ვალდებულებებს, გამოიყენება ფასს 15. ფასს 15-ის მიხედვით ამონაგები აღიარდება როდესაც (ან როგორც კი) საწარმო დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას ისეთი ოდენობის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

## მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი

ბ22. ხელშეკრულება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის სადაზღვევო ხელშეკრულება, თუ ის გადასცემს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. სადაზღვევო რისკი განხილულია ბ8 – ბ21 პუნქტებში. შემდეგ პუნქტებში განხილულია, როგორ უნდა შეფასდეს, არის თუ არა სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვანი.

ბ23. სადაზღვევო რისკი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, თუ სადაზღვევო შემთხვევას შეუძლია გამოიწვიოს მზღვეველის მხრიდან მნიშვნელოვანი დამატებითი სარგებლის გადახდა რაიმე სცენარით, საიდანაც გამორიცხულია სცენარი, რომელსაც კომერციული შინაარსი არა აქვს (ანუ არა აქვს ხილვადი გავლენა ოპერაციის ეკონომიკურ მხარეზე). თუ მნიშვნელოვანი დამატებითი სარგებელი გადასახდელი იქნება ისეთი სცენარით, რომელსაც კომერციული შინაარსი აქვს, წინა წინადადების პირობა შეიძლება მაშინაც დაკმაყოფილდეს, თუ სადაზღვევო შემთხვევა უკიდურესად საეჭვოა, ან თუ პირობითი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ დღევანდელ ღირებულებას (ანუ ალბათობებით შეწონილ ღირებულებას) მცირე ხვედრითი წილი უკავია დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოსალოდნელ დღევანდელ ღირებულებაში.

ბ24. ბ23-ში აღწერილი დამატებითი სარგებელი ეხება ისეთ თანხებს, რომელიც აღემატება სადაზღვევო შემთხვევის არ მოხდენის დროს გადასახდელ თანხას (იმ სცენარების გამოკლებით, რომლებსაც არა აქვს კომერციული შინაარსი). ეს დამატებითი თანხები მოიცავს სადაზღვევო მოთხოვნების დამუშავებისა და მოთხოვნების შეფასების დანახარჯებს, მაგრამ არ მოიცავს:

ა) იმ უნარის დაკარგვას, პოლისის მფლობელს დაერიცხოს თანხები მომავალი მომსახურებისათვის. მაგალითად, საინვესტიციო ტიპის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში, პოლისის მფლობელის სიკვდილი ნიშნავს, რომ მზღვეველი ინვესტიციების მართვის მომსახურებას აღარ აგრძელებს და საფასურს აღარ იღებს ამაში. თუმცა, ამგვარი ეკონომიკური ზარალი მზღვეველისთვის არ ასახავს სადაზღვევო რისკს ზუსტად ისევე, როგორც ერთობლივი სახსრების მენეჯერი არ ხდება დამოკიდებული სადაზღვევო რისკზე, კლიენტის შესაძლო სიკვდილის შემთხვევაში. ამგვარად, ინვესტიციების მართვასთან დაკავშირებით მომავალში მისაღები საფასურის პოტენციური დანაკარგის გათვალისწინება არ გამოდგება იმის შესაფასებლად, რამხელა სადაზღვევო რისკის გადაცემა ხდება ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) უარი გარდაცვალებასთან დაკავშირებული დანახარჯების უფლებაზე, რომელიც გაწეული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ანულირების ან პოლისის მფლობელის მიერ, ხელშეკრულებაზე ვადაზე ადრე უარის თქმის შემთხვევაში. ვინაიდან ხელშეკრულება ითვალისწინებს ამ დანახარჯების არსებობას, მოცემულ დანახარჯებზე უარის თქმა პოლისის მფლობელს არ უნაზღაურებს წინდაწინ არსებულ რისკს. მაშასადამე, ამგვარი ზარალის გათვალისწინება არ გამოდგება იმის შესაფასებლად, რამხელა სადაზღვევო რისკის გადაცემა ხდება ხელშეკრულების შესაბამისად;

გ) გადახდა, რომელიც დამოკიდებულია ისეთ მოვლენაზე, რომელიც არ იწვევს ხელშეკრულების მფლობელის მნიშვნელოვან ზარალს. მაგალითად, ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვს, რომ ხელშეკრულების გამცემმა გადაიხადოს ერთი მილიონი ფულადი ერთეული, თუ აქტივის ფიზიკური დაზიანება იწვევს ერთი ფულადი ერთეულის სიდიდის უმნიშვნელო ეკონომიკურ ზარალს მფლობელისათვის. ასეთ ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების მფლობელი მზღვეველს გადასცემს ერთი ფულადი ერთეულის უმნიშვნელო დანაკარგის რისკს. ამავე დროს, ხელშეკრულება ქმნის არასადაზღვევო რისკს იმისა, რომ ხელშეკრულების გამცემს დასჭირდება 999,999 ფულადი ერთეულის გადახდა, თუ კონკრეტული მოვლენა მოხდება. ვინაიდან ხელშეკრულების გამცემი ხელშეკრულების მფლობელისაგან მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს არ იღებს, ეს ხელშეკრულება არ არის სადაზღვევო ხელშეკრულება;

დ) გადაზღვევის შესაძლო ამოღება. მზღვეველი ამას ცალკე ასახავს.

ბ25. მზღვეველმა სადაზღვევო რისკის მნიშვნელობა უნდა შეაფასოს თითოეული განცალკევებული ხელშეკრულებისათვის და არა ფინანსურ ანგარიშგებასთან[7] მიმართებით, ხელშეკრულების არსებითობის მიხედვით. ამგვარად, სადაზღვევო რისკი შეიძლება არსებითი იყოს მაშინაც კი, თუ არსებითი ზარალის ალბათობა მინიმალურია ხელშეკრულებების მთლიანი საბუღალტრო წიგნისათვის. რისკის შეფასება ცალ-ცალკე თითოეული ხელშეკრულებისათვის აადვილებს ხელშეკრულების კლასიფიცირებას სადაზღვევო ხელშეკრულებად. თუმცა, თუ ცნობილია, რომ პატარა ხელშეკრულებების შედარებით ერთგვაროვანი წიგნი ისეთი ხელშეკრულებისაგან შედგება, რომლებიც ყველა გადასცემს სადაზღვევო რისკს, მზღვეველს არ ევალება თითოეული ხელშეკრულების შემოწმება ამ წიგნიდან, რათა განსაზღვროს რამდენიმე არაწარმოებული ხელშეკრულება, რომელიც უმნიშვნელო სადაზღვევო რისკს გადასცემს.

ბ26. ბ23 – ბ25 პუნქტებიდან გამომდინარეობს, რომ თუ ხელშეკრულება დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში იმაზე მეტ თანხას იხდის, რომელიც გადასახდელი იქნებოდა მისი გადარჩენის შემთხვევაში, ხელშეკრულება იქნება სადაზღვევო ხელშეკრულება, თუ გარდაცვალებასთან დაკავშირებული დამატებით გადასახდელი თანხა არ არის უმნიშვნელო (რაც განხილული იქნება მოცემული ხელშეკრულებისათვის და არა ხელშეკრულებების მთელი წიგნის მიმართ). როგორც აღნიშნული იყო ბ24-ე (ბ) პუნქტში, უარი გარდაცვალებასთან დაკავშირებული დანახარჯების უფლებაზე, ხელშეკრულების გაუქმების ან პოლისის მფლობელის მიერ ხელშეკრულებაზე ვადაზე ადრე უარის თქმის შემთხვევაში არ გაითვალისწინება სადაზღვევო რისკის მნიშვნელობის შეფასებაში, თუ უარის თქმა პოლისის მფლობელს არ უნაზღაურებს წარმოქმნამდე არსებულ რისკს. ანალოგიურად, ანუიტეტის ხელშეკრულება, რომელიც რეგულარულ თანხებს იხდის პოლისის მფლობელის სიცოცხლის დარჩენილი ნაწილისათვის, არის სადაზღვევო ხელშეკრულება, თუ მუდმივი პირობითი ანუიტეტის გადასახდელი თანხები ერთად აღებული არ არის უმნიშვნელო.

ბ27. ბ23-ე პუნქტი ეხება დამატებით სარგებელს. აღნიშნული დამატებითი სარგებელი შეიძლება ითვალისწინებდეს სარგებლის გადახდას სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე და გადახდა არ კორექტირდებოდეს ფულის დროითი ღირებულებით. ამის მაგალითია მთლიანი სიცოცხლის დაზღვევა ფიქსირებული თანხით (სხვა სიტყვებით, დაზღვევა, რომელიც უზრუნველყოფს ფიქსირებული სარგებლის გადახდას, პოლისის მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში, ისე, რომ ხელშეკრულებას დასაფარად ამოწურვის ვადა არა აქვს). უდავოა, რომ პოლისის მფლობელი მოკვდება, მაგრამ გაურკვეველია (განუსაზღვრელია) სიკვდილის თარიღი. მზღვეველი ზარალს იღებს ისეთი ინდივიდუალური ხელშეკრულებებიდან, როდესაც პოლისის მფლობელი ადრე მოკვდება, მაშინაც კი, თუ ხელშეკრულებების მთლიან წიგნში არ დაფიქსირდება საერთო ზარალი.

---

[7]. ამ მიზნით, განცალკევებულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ერთ კონტრაჰენტთან დადებული ხელშეკრულება (ან ხელშეკრულებები, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულია).

ბ28. თუ სადაზღვევო ხელშეკრულება დაყოფილი არ არის დეპოზიტურ კომპონენტად და სადაზღვევო კომპონენტად, სადაზღვევო რისკის გადაცემის მნიშვნელობის შეფასება ხდება სადაზღვევო კომპონენტის მიხედვით, ხოლო ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის მიერ გადაცემული სადაზღვევო რისკის მნიშვნელობის შეფასება კი – ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის მიხედვით.

## ცვლილებები სადაზღვევო რისკის დონეში

ბ29. ზოგიერთი ხელშეკრულება მხოლოდ შემდგომ პერიოდში გადასცემს რაიმე სადაზღვევო რისკს ხელშეკრულების გამცემს, ნაცვლად იმისა რომ დასაწყისში გადასცეს. მაგალითად, ხელშეკრულება, რომელიც იძლევა გარკვეულ საინვესტიციო უკუგებას და მოიცავს პოლისის მფლობელის ოფციონს, ინვესტიციიდან მიღებული შემოსულობა, ინვესტიციის ვადის გასვლისას, გამოიყენოს მუდმივი პირობითი ანუიტეტის საყიდლად, ანუიტეტის მიმდინარე განაკვეთით, რომელიც დარიცხული აქვს მზღვეველს სხვა ახალ რენტის მიმღებზე იმ დროს, როდესაც პოლისის მფლობელი ახორციელებს ოფციონს. სანამ ოფციონი არ განხორციელდება, ხელშეკრულება სადაზღვევო რისკს არ გადასცემს ხელშეკრულების გამცემს, ვინაიდან მზღვეველი თავისუფალი რჩება იმისაგან, რომ ანუიტეტის ფასი განსაზღვროს ისეთი მეთოდით, რომელიც ასახავს სადაზღვევო რისკის გადაცემას მზღვეველზე ამ დროისათვის. თუმცა, თუ ხელშეკრულება ადგენს ანუიტეტის განაკვეთს (ან მისი განსაზღვრის საფუძველს), მაშინ ხელშეკრულება დასაწყისშივე სადაზღვევო რისკს გადასცემს ხელშეკრულების გამცემს.

ბ30. ხელშეკრულება, რომელიც კლასიფიცირებულია სადაზღვევო ხელშეკრულებად, სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება მანამ, სანამ ყველა უფლება და ვალდებულება არ შესრულდება ან ამოიწურება.